

ა(ა)იპ საქართველოს საკატორიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი

მიხეილ აბაშიძე

საქართველოს საკრედიტო ბაზარი და მისი მონაწილეები

სპეციალობა : ბიზნესის ადმინისტრირება

(სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

მეცნიერ ხელმძღვანელი:
ბიზნესის მართვის დოქტორი,
მოწვეული პროფესორი რ. ცინარიძე

ხიჯაური - 2021

ანოტაცია

ქართული საბანკო სექტორის განვითარების შესაფასებლად ყველაზე კარგი მაჩვენებელი საქართველოს ბაზარზე მოღვაწე საბანკო დაწესებულებების აქტივების, მომგებიანობისა და მათ მიერ სახელმწიფოში ჩარიცხული გადასახადების მზარდი რაოდენობაა.

საქართველოს საბანკო სისტემა სხვა ქვეყნების საფინანსო/საკრედიტო სისტემისგან განსხვავდება ორდონიანი მმართველობის სისტემით. კომერციული ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და სხვა საკრედიტო დაწესებულებების ფუნქციონირება რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, რომელიც საქართველოში დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე ჩამოყალიბებული და ძლიერი ინსტიტუტია, მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური სექტორი საკმაოდ რთულად რეგულირებადი სექტორია, ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციები და შეზღუდვები საკმაოდ კარგად აკონტროლებს საბანკო სექტორის ფუნქციონირებას, რაც დადებითად ისახება ქვეყანაში არსებულ მოსახლეობაზე და შესაბამისად ხელი ეშლის მოსახლეობაში ჭარბვალიანობის პრობლემის წარმოჩენას.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს სწორედ საქართველოს ბაზარზე მოქმედო კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, მათი საქმიანობის ტენდენციები და მისი შედარება საერთაშორისო საბანკო სექტორთან. საფინანსო სექტორის გავლენა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და სახელმწიფოს როლი საბანკო სექტორის განვითარებისა და სტიმულირებაზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კონკურენტუნარიანი და პროდუქტიული საბანკო-საკრედიტო სექტორი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია.

კარგად ჩამოყალიბებული საბანკო სექტორი და ძლიერი ფინანსური სექტორი, ნიშნავს ფინანსურად მყარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნის მოსახლეობას, რაც მათი კეთილდღეობისა და ჯანსაღი ფინანსური გარემოს აუცილებელი ელემენტია.

Annotation

The best indicator for assessing the development of the Georgian banking sector is the growing number of assets, profitability and taxes transferred by them to the state in the Georgian market.

The banking system of Georgia differs from the financial and credit system of other countries by a two-tier management system. The activities of commercial banks, microfinance organizations and other credit institutions are regulated by the National Bank of Georgia, which today is one of the most reputable and powerful institutions in Georgia. The functioning of the sector, which has a positive effect on the population of the country and thereby prevents the problem of overpopulation.

The research object of this master's thesis is commercial banks and microfinance organizations operating in the Georgian market, their trends and their comparison with the international banking sector. The influence of the financial sector on the improvement of the country's economic situation and the role of the state in the development and stimulation of the banking sector. It should be noted that a competitive and productive banking and credit sector is one of the important levers of the country's economic development.

A robust banking sector and a strong financial sector means the population of a financially stable country, which is an important element of their well-being and a healthy financial environment.

შინაარსი:

შესავალი.....	5
თავი I. საკრედიტო ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები.....	8
1.1.კრედიტისა და საკრედიტო ბაზრის ფორმირების ისტორიული და თანამედროვე თეორიები.....	8
1.2 საკრედიტო ბაზარი, ინსტიტუტები და საკრედიტო პროდუქტები	19
1.3 საკრედიტო პორთფელი და მისი შეფასების კრიტერიუმები	33
თავი II. საქართველოს საკრედიტო ბაზრის მარეგულირებელი ორგანოები და სამართლებრივი ბაზა.....	41
2.1.ეროვნული ბანკის უფლებები და მოვალეობები საკრედიტო ბაზარზე.....	41
2.2 საფინანსო სექტორის თანამედროვე რეგულაციები და მოსახლეობის ჭარბვალდებულება (ეროვნული ბანკის რეგულაციებზე მორგება საკრედიტო ინსტიტუტების).....	45
2.3 საკრედიტო რისკები და საკრედიტო ინსტიტუტების სვოტ-ანალიზი.....	55
თავი III. საფინანსო სექტორის წარმომადგენელთა მართვის აქტუალური საკითხები კოვიდ-19-ის გამოწვევების ფონზე	58
3.1 კოვიდ-19-ის ზეგავლენა ბიზნეს-სექტორზე, სესხების რესტრუქტურირება.....	58
3.2 კვლევის მეთოდოლოგია და შედეგების განაალიზება.....	62
დასკვნები და რეკომენდაციები	70
გამოყენებული ლიტერატურა	74
დანართი და დამატებები	76

შესავალი

თემის აქტუალობა. როგორც სხვა ქვეყნებისთვის, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკური სქემიანობისთვის და გამართულად ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს ქვეყანაში საბანკო-საფინანსო სექტორის განვითარება და სწორად, ეფექტიანად ფუნქციონირება. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ისეთი გარდამავალი ქვეყნების, რომელშიც საქართველო შედის, სავაბკო-საფინანსო სექტორის განვითარება ერთ – ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რადგან სწორედ ამ მიმართულებაში თავს იჩენს ისეთი ელემენტები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის, სოციალური მდგომარეობის და სტაბილურობის შენარჩუნებისთვის უმთავრესია სხვა საჭირო ელემენტებთან ერთად. ქვეყნის ფარგლებში არსებული ბიზნესები, რომლებიც უკვე ფუნქციონირებენ და სურთ ბიზნესის არეალის გაფართოვება, ან სურთ საქმიანობის წამოწყება, რომელსაც ჭირდება აუცილებლად ფულადი რესურსები, მაგრამ ვერ მოხდენს სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის წამოწყების ან განვითარების მხარდამჭერ პროგრამაში, ასეთი კომპანიები თუ ფიზიკური პირები იძულებული არიან მიმართონ დასაფინანსებლად საკრედიტო ინსტიტუტებს, რომლებიც პროცენული სარგების სანაცვლოდ ასესხებს თანხას და იღებს მოგებას, მაგრამ ხელი ეწყობა ბიზნესის განვითარებას, ბიზნესის განვითარების პარალელურად იქმნება საგადასახადო ბაზა, რითაც იზრდება ქვეყნის ბიუჯეტი, რომელიც საერთო ჯამში დადებითად აისახება, როგორც ბანკებზე და ბიზნესებზე, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე დადებითად.

საბანკო/საფინანსო სექტორის დადებითი გავლენა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაზე, წარმოდგენილია მრავალი საერთაშორისო და საქართველოს ფარგლებში ჩატარებულ არაერთ კვლევის და გამოკითხვის შედეგებში, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდა ურთიერთდამოკიდებულებაშია და პროპორციულად იზრდება საბანკო სექტორის განვითარებისა და მამტაბების ზრდის მიხედვით მაგრამ, covid პანდემიის პირობებში ეს მონაცემები ნაწილებრივ შეიცვალა და ქვეყნის ეკონომიკა ბანკებიზ ზრდასთან ერთად უკოპროპორციული მაჩვენებლით გვევლინება.

საბანკო სექტორის ფუნქციონირება გათვლილია როგორც მოკლევადიან დაკრედიტებაზე, აგრეთვე გრძელვადიან დაკრედიტებაზე, მოკლევადიან პერსპექტივაში, როდესაც ფიზიკური პირები ან მეწარმეები, თუ დადგნენ თანხის საჭიროების წინაშე, რომელის მიზნობრიობა იქნება საქმიანობის დაფინანსება ან პირადი საჭიროება, ბანკი და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები თავაზობს დაფინანსებას, შემოსავლის შესწავლის გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში გირაოს საგნის იპოთეკით. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის და ზოგადად მოსახლეობისთვის საკრედიტო ინსტიტუტების გამართულად და საიმედოდ ფუნქციონირება, რომელიც პირდაპირპროპორციულია ქვეყნის ეკონომიკის და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ბანკების ფუნქციონირება მკაცრად უნდა კონტროლდება ეროვნული ბანკის მიერ, რომელიც მოსახლეობაში ჭარბვალთანობას ჩამოიყვანს მინიმალურ ნიშნულზე.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია, მოხდეს საზოგადოების იმ ნაწილის გამოკითხვა რომელსაც აქვს ან არ აქვს სესხი ბანკში, მაგრამ მაინც სარგებლობს საბანკო მომსახურებით. შესაბამისად მიღებული ინფორმაცია გაანალიზდეს და დაიდოს დასკვნები შესაბამისი არგუმენტებით განმტკიცებული. მივიდეთ იმ შედეგამდე, რომ შესაბამისი კვლევიდან გამომდინარე მოგვეცეს საშუალება ვისაუბროთ საბანკო სექტორის დადებით და უარყოფით აქპექტებზე, აგრეთვე მის როლზე ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაში, განვითარებებზე და მოლოდინებზე, რომელიც დაფუძნებული იქნება მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია covid პანდემიის დროს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის დამოკიდებულება საბანკო-საკრედიტო სექტორის საქმიანობის, არსებული და მოსალოდნელი შედეგების მიხედვით. კვლევის ობიექტი კი არის საქართველოში არსებული საკრედიტო ინსტიტუტები, რომლებშიც შედის კომერციული ბანკები და მსო ორგანიზაციები და ახორციელებენ, როგორც ეროვნული ვალუტის, აგრეთვე უცხოური ვალუტის საკრედიტო ხასიათის საქმიანობას. აქედან გამომდინარე გაირკვევა, თუ ბიზნესის ამ მიმართულებას რამდენად შეუძლია გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე.

კვლევის ამოცანები. ნაშრომის კვლევის ამოცანებს წარმოადგენს:

- საქართველოს ბაზარზე არსებული საკრედიტო ინსტიტუტები და მათი საქმიანობის შეფასება;
- საქართველოში არსებული საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის, მათი ბიზნეს გარემოს და მომხმარებელთა კმაყოფილების შესწავლა და ანალიზი;
- საბანკო სექტორის არსებული და მომავალე რისკების შეფასება.

კვლევის თეორიულ–მეთოდოლოგიური საფუძვლები: კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია და შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები გამოყენებული და შემდგომ პერიოდში გათვალისწინებული იქნას, ქვეყნის და საბანკო სექტორის საერთო მიზნის, მოსახლეობის სოცალური და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, რომელიც აუცილებელია საზოგადოებისთვის.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა:ნაშრომი შედგება 77 გვერდისგან. იგი მოიცავს შესავალს, ლიტერატურულ მიმოხილვას და დასკვნით ნაწილს. ნაშრომი შედგება სამი თავისგან და რვა პარაგრაფისგან. ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და დანართები დიაგრამების სახით.

თავი I. საკრედიტო ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. კრედიტისა და საკრედიტო ბაზრის ფორმირების ისტორიული და თანამედროვე თეორიები

ზოგადად, ბანკებისა და საბანკო საქმის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ფულად-საკრედიტო სისტემის როლი ქვეყანაში იცვლება და წინა პერიოდებთან შედარებით სულ უფრო სრულყოფილ სახეს ღებულობს. ამ ცვლილებებს კი განაპირობებს ძალიან ბევრი გარემოება: სხვადასხვა ეპოქა განსხვავებული განვითარებით და საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებით გამოურჩევა, ამიტომ პირველი გარემოება არის სხვადასხვა ეპოქისთვის დამახასიათებელი განსხვავებული თავდისებურებები. ქონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მოწყობის წესი და ტრადიციები, ეროვნული და სახელმწიფოებრივი პრიორიტეტები, სამართლებრივი ბაზა, სამეურნეო სისტემა, მომხმარებელთა შეგნების დონე, პრიორიტეტები და სხვა.

ამ მოცემულ საქმიანობაში გამოცდილი ადამიანების (სპეციალისტების) აღიარებით, პირველი სრულყოფილი და სრულფასოვანი ქართული მონეტა, სახელმწიფოს მიერ დამოწმებული დამოწმებული ფორმით, სხვადასხვა მონაცემებით, წონითა და სინჯით ჯერ კიდევ ჩვენს წეთალრიცხვამდე VI საუკუნეში მოიჭრა კოლხურ-იბერიული სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების და გაერთიანების დროს. თუმცა სხვადასხვა წყაროებითაც ირკვევა, რომ ქართული ფულის ისტორია 3000 წლისაა, ანუ ემთხვევა თვითონ ქართული სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების ისტორიას. სწორედ ეს ფული წარმოადგენდა იმ პერიოდისთვის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებსა და თვითონ ადამიანებს შორის სავაჭრო გაცვლით საშუალებას, რომელიც სხვადასხვა ფორმით გამოიყენებოდა, მათ შორის გასესხებით და გაცემული ქონებაზე დამატებული პროცენტის მატერიალურ სახეში უკანდაბრუნების პირობით.

საქართველოს ფულად-საკრედიტო ურთიერთობების განვითარების ფართომასშტაბიანი და მდიდარი ისტორია აქვს, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს

წელთაღრიცხვამდე VI–V საუკუნეებიდან იწყება მევახშეებისა და ე.წ ზარაფების სახით. საქართველო თავისი ისტორიის განმავლობაში ყოვეთვის წარმოადგენდა მსოფლიო სავაჭრო გზების გასაყარს, რომელიც ხელს უწყობდა საკრედიტო ურთიერთობების განვითარებს და ჩამოყალიბებას. აქედან გამომდინარე ისტორიულად ძალზედ საუნტერესოა XII–XIII საუკუნეები, როცა დავით აღმაშენებლის დროს გატარდა ფულად–საკრედიტო მიმოქცევის ფარტომამტაბიანი ღონისძიებები და რეფორმები, რომელთა შემდეგ ქვეყანაში ჩნდება სპეციალური დაწესებულებები შესაბამისი გატარებული რეფორმების მოთხოვნების დაკმაყოფილებით. ეს იყო ვაჭართა საკრედიტო, გამსესხებელ დამგირავებელი ორგანიზაციები, რომლების იწოდებოდნენ „ორტაღების“ სახელით და ახდენდნენ სესხების გაცემას, გირაოსა და უზრუნველყოფის კანონიერ განკარგვას, ფულის ნიშნების გადაცვლას და სხვა. სწორედ ეს ფაქტები მიგვანიშნებს, რომ ამ დროიდა მოყოლებული, საზოგადოებას ქონდა საშუალება ესარგებლა რაღაცის სანაცვლოდ სხვისი ფული. მაგრამ სწორედ ამ გაცვლით ღონისძიებებს აკონტროლებდა სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებული მარეგულირებები წესები.

XVIII საუკუნუს მეორე ნახევრიდან XIX საუკუნუს პირველ ნახევრამდე საქართველოში არსებული საკრედიტო პრინციპები მსგავსი იყო ევროპის საკრედიტო მიმართულებათან, შეიძლება ითქვას, რომ ერთნაირი პრინციპებითაც ხასიათდებოდა. სწორედ ეს პერიოდი იყო, როცა ქართული ფული მთელ ამიერკავკასიაში წარმატებით გავრცელდა. ამავე პერიოდში ცნობილია ერეკლე II –ის დროს არსებული ე.წ საზაროფო დაწესებულებები, რომლებიც ამზადებდნენ ფულს, უშვებდნენ მიმოქცევაში და ამ ფულით ასრულებდნენ საკრედიტო საანგარიშგებო ოპერაციებს.

მიხუდევად იმისა, რომ ქართულ ფულს და საკრედიტო მომსახურებას დიდი ისტორია აქვს, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი გაგებით, საქართველოში საბანკო მომსახურებისა და პრაქტიკის გაჩენა დაკავშირებულია რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდთან. XIX საუკუნუს დასაწყისში, კერძოს 1810 წელს თბილისში დაარსდა პირველი საკრედიტო მომსახურების ინსტიტუტი სახელწოდებით– „ საქართველოს საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგო.“ იგი არ იყო კერძო და იყო სახელმწიფო დაწესებულება, გამომდინარე აქედან აღნიშნული ინსტიტუტის ფუქნციონირება

მიმართული იყო სახელმწიფო ინტრესების დაცვისკენ. აღნიშნული საკრედიტო დაწესებულება დაკავებული იყო პროცენტური კრედიტების გაცემით და ანაზრების მოზიდვით. იგი საქართველოს სრულ ტერიტორიაზე ერთადერთი საკრედიტო/საფინანსო ინსტიტუტი იყო ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნით.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ინსტიტუტები, რომლებიც ფულის გასესხებით ორიენტირებული იყო ფულადი სახით მოგებაზე, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე მათი რაოდენობა მასობრივად იმატებს 1860 წელს დაარსდა ცენტრალური ბანკი წედებით: „საიმპერიო სახელმწიფო ბანკი“, რომლის პირველი ფილიალი 1866 წელს გაიხსნა თბილისში, ამ ფაქტს კი მოყვა ეტაპობრივად რამოდენიმე კომერციული ბანკების გახსნა. სწორედ ეს საიმპერიო სახელმწიფო ბანკი შეიძლება შევადაროთ დღევანდელ ეროვნულ ბანკს, რომელიც რეგულირებას უწევს მიმდინარე კომერციული ბანკების ფუნქციონირებას. ამ საკრედიტო ინსტიტუტებში ყველაზე აღსანიშნავია 1871 წელს დაარსებული „თბილისის კომერციული ბანკი“, რომელსაც ფილიალები ჰქონდა ბაქოში ერევანსა და ბათუმში. XIX საუკუნის 80 ან წლებში უკვე ასამდე კომერციული დაწესებულებები ანა საკრედიტო ორგანიზაციები ითვლებოდა. მათგან კი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა ე.წ „პრიკაზები“, სახელმწიფო ბანკის განყოფილებები, სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკები, საქალაქო ბანკები, ინდივიდუალური საბანკო კანტორები, სასოფლო სასახო–საშემნახველო ამხანაგობები, სალაროები და ა.შ.

ზემოთაღნიშნულ პერიოდში დაარსდა, როგორც ქართული საბანკო საქმის, ასევე ზოგადას ქართული სახელმწიფოებრიობისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა, ჯერ თბილისის, შემდეგ კი ქუთაისის საადგილმამულო ბანკების დაარსება, რომელთა სათავეში იდგნენ: ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი და მათთან დაკავშირებული ყველას მოღვაწე რომელიც პროგრესური თვალთ უყურებდა ქვეყნის მომავლის განვითარებას. სწორედ ეს ადამიანები იყვნენ, ის ვინც აღნიშნულ დაწესებულებას არ უყურებდნენ მხოლოდ როგორც საკრედიტო დაწესებულებას, არამედ როგორს ერთ–ერთ ქართულ ეროვნულ ინსტიტუტს. ბანკის შექმნის იდეა ითვალისწინებდა აქციონალური, საზოგადოებრივი საკრედიტო ინსტიტუტის შექმნას, რომლის

მომსახურების სარგებლობის უფლება და საშუალება ეექნებოდა, როგორც თავადაზნაურებთ, აგრეთვე გლეხობასაც და საშუალო და დაბალი ფენის საზოგადოებასაც. აღნიშნული საკრედიტო დაწესებულების შექმნის იდეის ხორცშესხმას დიდი სუბიექტური და ობიექტური სიძნელებები შეხვდა, მაგრამ საბოლოოდ თერთმეტი წლიანი დამაბული და მუხლმოუდრეკელი შრომის შემდეგ, 1874 წლის პირველ მაისს გაიხსნა ქუთაისის საადგილმამულო ბანკი, რომელსაც მართვას ასრულებდა ადგილობრივი გამგეობა, მის თავმჯდომარედ არჩეული იყო ბესარიო ღოღობერიძე.

დაარსებიდან გარკვეული პერიოდის (6 წლის) შემდეგ თბილისის საადგილმამულო ბანკი მოქმედების მამუტაბები გაფართოვდა და დაიწყო სესხების გაცემა ბაქოში, ხოლო 1891 წლიდან – ბათუმში. ილია ჭავჭავაძემ თავისი ცხოვრებიდან 30 წელი მიუძღვნა ამ ბანკების ხელმძღვანელობას და 1905 წლის 23 ივნისს გადადგა. სწორედ ილია ჭავჭავაძის დამსახურებაა ის ფაქტი, რომ თბილის და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები არ იყო მხოლოდ საკრედიტო დაწესებულებები, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ აღნიშნულ ამ ინსტიტუტებმა დიდი როლი ითამაშეს ქართული საზოგადოებრივი თუ სოციალურ ეკონომიკური ცხოვრების ყველა მიმართულებაში, მათ პირველი და აღსანიშნავია: განთლების სპერო, ეროვნული კადრების მომზადება, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებების დაარსება, ქართული ტეატრი და სხვა.

ფულად-საკრედიტო ისტორიის განვითარებაში პირველი სრულყოფილი და დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნა დაიწყო 1918 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ პერიოდში. 1919 წლის ბოლოს, 31 დეკემბერს, საქართველოს სადამფუძნებლო კრების მიერ გამიცა კანონი „სახემწიფო ბანკის დაარსების შესახებ“. ამის გარდა დამოუკიდებლობის წლებში (1918–1921წწ) საქართველოში რამოდენიმე ბანკი ფუნქციონირებდა, რომელთა საქმიანობას ხელს უშლიდა მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, როს გამოც შეზღუდული იყო, მაგრამ მათ მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული საბანკო საქმის განვითარებაში. ფუნქციონირების ხანმოკლე პერიოდის გათვალისწინებით საქართველოს დამოუკიდებელმა ხელისუფლებამ რიგი ღონისძიებების გატარება მაინც

მოსაწრო.გამოშვებული იქნა დროებითი ფულადი ნიშნები სახელწოდებით „ ბონები“, რომელიც არ იყო სრუფასოვანი ფული და არ გააჩნდა სავალუტო უზრუნველყოფა, მაგრამ ეს იყო ფულის რეფორმის დასაწყისი. ამის შემდეგ დაიწყო არაქართული ფულის მიმოქცევიდან ამოღება, უცხოური ვალუტის რეზერვების შექმნა და სხვა. მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება რომ ე.წ ბონების ბეჭდვა ხდებოდა თბილისში, რაც არაქართულ ფულთან უფრო მეტად კონკურენტულს ხდიდა.

არ არის გასაკვირი ის ფაქტი, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგმახლად ჩამოყალიბებული და მცირე მაჩტაბებით გავრცელებული საბანკო-საკრედიტო დაწესებულებების ლიკვიდაცია მოხდა და უკვე 1924 წლის პირველი ივლისიდან მთელ ამიერკავკასიასი , რათქმაუნდა მათ შორის, საქართველოშიც ფებს იკიდებს საბჭოთა ფული და მყარდება საბჭოთა საბანკო სისტემები.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ გამოაცხადა ბანკების ნაციონალიზაცია და შეუდგა ერთიანი სახელმწიფო ინტერესების გამტარებელი ფულადი და საბანკო-საკრედიტო სისტემების შექმნას. საბჭოთა კავშირის არსებობის ისტორიის განმავლობაში საბანკო სიტემაში ბევრი რეფორმა განხორცილდა, რომელიც გამოწვეული იყო ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპითდა შექმნილი არსებული რეალობით.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის მიმართულება ეკონომილის განვითარებისა, რომელიც თავად აირჩია. ქვეყნის ეკონომიკური და ზოგადად ფინანსური პრობლემები დაიწყო 80-ანი წლების დასაწყისში. ამ დროისთვის უკვე ფულადი სახით გაცემული კრედიტები კარგადა ეკონომიკის, განვითარების და განახლების აქტიური ინსტრუმენტის როლს. ფაქტიურად საბანკო სისტემიდან მობილიზებული ფულად ნაკადების დიდი ნაწილი ბიუჯეტის დანამატად იყო ქცეული, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის გაცემული კრედიტების უმრავლესობა აღარ ბრუნდებოდა და გადადიოდა უიმედო ვალებში. ძალიან მარტივად ხდებოდა მათი გარკვეული პერიოდით გადავადებ ან ჩამოწერა. ამ დროისთვის საბანკო კრედიტის პროცენტი იმდენად დაბალი იყო, რომ

აღარ ხდებოდა მისი დაბრუნების სტიმულირება დაბალი მომგებიანობის გამო.. კრედიტმა დაკარგა დაბრუნებადობის, მომგებიანობის, ვადიანობის და ფასიანობის ნიშნები. საბჭოთა პერიოდმა და მისმა ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ნათლად დაადასტურა ის ჭეშმარიტება, რომ სრულყოფილი საბანკო ურთიერთობების უთავრესი პრინციპი არის პარტნიორული და ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობა. საბჭოთა პერიოდში ბანკი არა საზოგადოების ხელშეწყობისკენ და განვითარებისკენ იყო მიმართული, არამედ საზოგადოების განვითარების მუხრუჭად იქცა, ვინაიდან საბანკო სისტემის მოთხოვნა საზოგადოების მიმართულებით ადეკვატური აღარ იყო.

ცხადია ქვეყნის ხელმძღვანელობა ხედავდა ზემოთაღნიშნულ პრობლემებს და 80 ანი წლების შუა პერიოდში ეკონომიკის მართვის რეორგანიზების ფარგლებში დაიწყო საბანკო სისტემის რეფორმა, რომლის შედეგად ჩამოყალიბდა საბანკო სისტემა ცენტრალური ბანკითა და ხუთი მსხვილიდ არგობრივი სპეციალიზებული სახელმწიფო ბანკით. საბჭოთა კავშირის დაშლის წინ 80–ანი პერიოდის შუა პერიოდში, საბჭოთა კავშირის საბანკო სიტემა შემდეგ სახთ იყო ჩამოყალიბებული:

1. სსრკ სახელმწიფო ბანკი–ანუ სახბანკი, რომელიც წარმოადგენდა ქვეყნის ცენტრალურ ბანკს, საემისიო, საანგარიშწორებო, საკასო და მაკონტროლებელი ფუნქციებით. იგი ასევე აღჭურვილი იყო არსამრეწველო სფეროს უნივერსალური მომსახურებისა და დაკრედიტების უფლებამოსილებით.

2. სსრკ სამრეწველო–სამშენებლო ბანკი, ანუ მრეწველ ბანკი ახორციელებდა სახალხო მეურნეობის (გარდა სოფლის მეურნეობისა) დარგების მომსახურებას, მათ გრძელვადიან დაკრედიტებას და კაპიტალდაბანდებათა ფინანსირებას.

3. სსრკ აგროსამრეწველო ბანკი– ანუ აგრიმრეწვბანკი მობილიზებული იყო სოფლის მეურნეობის მომსახურებაზე, დაკრედიტებაზე და შესაბამისად მომავალ განვითარებაზე.

4. სსრკ საბინაო –კომუნალური მეურნეობისა და სოციალური კანვითარების ბანკი–ანუ ბინსოც ბანკი, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, იგი ახდენდა საბინაო და კომუნალური მეურნეობის მოსახურებასა და დაკრედიტებას.

5. სსრკ შრომითი დანაზოგებისა და მოსახლეობის დაკრედიტების ბანკი— ანუ შემნახველი ბანკი ახდენდა საბჭოთა კავშირის მოქალაქეების მომსახურებას, რაც ითვალისწინებდა როგორც ფულადი დანაზოგების მოზიდვას ისე მომგებიანი სახელმწიფო სესხების რეალიზაციას.

6. სსრკ საგარეო—ეკონომიკური საქმიანობის ბანკი— ანუ საგარეო ვაჭრობის ბანკი, იგივე ექსიმბანკი ახდენდა საგარეო ვაჭრობასა და საერთაშორისო ანგარიშწორების დაფინანსებას, ასევე დაკავებული იყო უცხოური ვალუტის. ოქროსა და ძვირფასი ლითონების ოპერაციებით.

ცხადია სქართველოშიც ფუნქციონირებდა ამ ბანკების რესპუბლიკური საბანკო სტრუქტურები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ ცენტრალურის შესაბამის ბანკებს, ვინაიდან მათ მსხვილ ფილიალებს წარმოადგენდნენ. ამ რეორგანიზების თავისებურება ის იყო, რომ სახ ბანკის საკრედიტო რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცა სპეციალიზებულ ბანკებს, რომლებიც აღიჭურნენ როგორც მოკლევადიანი, აგრეთვე გრძელვადიანი დაკრედიტების უფლებით. რეორგანიზების მთავარი ამოცანა იყო პროგრესული საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაცია და საკრედიტო სისტემის ეფექტიანობის ამაღლება. თუმცა ეს იყო კვლავ ერთდონიანი საბანკო სისტემა, სადაც მონოპოლოა თავმოყრილი იყო ექვს გიგანტურს სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში.

მაღე აღმოჩნდა რომ, რეორგანიზებული საბანკო სისტემა მოკლებული იყო ოპერატიულობასა და ელასტიურობას, მით უმეტეს, რომ საბჭოური წყობა და მისი ეკონომიკური სისტემა ნელ—ნელა იშლებოდა. ამ მოვლენების კვალობაზე პროცესები უფრო და უფრო უმართავი ხდებოდა, აქედან გამომდინახე ხელისუფლების მხრიდან გრძელდებოდა კრიტიკული სიტუაციიდან გამოსავალი გზების ძიება. 1987 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გატარების შესახებ, რომელიც უნდა დაფუძნებოდა სრულ თვითდაფინანსებას, ეს კი საბანკო სიტემის გადაწყობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. გადაწყდა სახბანის მთლიანი ქვედა რგოლის განყოფილებების გადანაწილება სპეციალიზებულ ბანკებზე, თუმცა ის მიზნები რომლებიც საფუძვლად იდო საბანკო სისტემის რეფორმის ამ ეტაპში,

შესრულებელი და რჩა რიგი ხელშემშლელი გარემოებების გამო და ეს მალევე გახდა თვალსაჩინო.

საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკური წყობა კრახს განიცდიდა, საზოგადოებასა და ქვეყნის მმართველ ელიტაში. 80-ანი წლების ბოლოდან თანდათან მომწიფთა აზრი, რომ საჭირო იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ყოველ შემთხვევასი მისი ელემენტების შემოატანა მაინც, რაც საბოლოოდ მიზეზი გახდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა. აღნიშნული პროცესების რეალიზაცია შეეხო ეკონომიკის ყველა დარგს და რა თქმა უნდა საბანკო ბიზნესსაც – შეიქმნა პირველი არასახემწიფოებრივი კომერციული და კოოპერაციული ბანკები. დაიწყო საბანკო სისტემის თვისობრივი და ზედაპირული რეორგანიზების პროცესი. დაიწყო ერთდონიანი ბანკების სისტემის რღვევა და გამოიკვეთა ორდონიანი საბანკო სისტემის კონტურები. კერძო ბანკების რაოდენობამ სწრაფად იწყო ზრდა. თუკი 1988 წლის ბოლოსთვის საბჭოთა კავშირში მათი რიცხვი 43-ს არ აღემატებოდა, ერთ წელიწადში რაოდენობამ 225-ს მიაღწია, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ 1350-ს გადააჭარბა.

მიუხედავად საბჭოთა კავშირის იმდროინდელი ხელისუფლების ყოველმხრივი მცდელობისა, სისტემური დეზინტეგრაციის პროცესები, რომლებიც მიმდინარეობდა ყველა მიმართულებით – პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და სოციალურ სფეროებში, შეუქცევადი იყო და 1991 წლის 26 დეკემბერს ოფიციალურად გაცხადდა საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ. აღნიშნული კი ნიშნავდა, რომ თხუთმეტივე ყოფილი რესპუბლიკა და მათ შორის საქართველო პირისპირ აღმოჩნდა იმ პრობლემების წინაშე, რასაც ერქვა დამოუკიდებელი სახელმწიფოს და შესაბამისად, დამოუკიდებელი ფინანსური და საბანკო სისტემის შექმნა.

რაც შეეხება საბანკო სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპს საქართველოში. გამოდინარე იქედან, რომ საქართველოში მოქმედი საბჭოთა სახელმწიფო სპეციალიზებული სიტემა ეტაპობრივად ირღვევა, იწყება ახლი საბანკო მიმართულებების ჩამოყალიბება. დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელი საბანკო სიტემის ინსტიტუციონალური

საფუძვლების შექმნა. 1991 წლის აგვისტოში საქართველოს რესპუბლიკის უზენაისი საბჭო იღებს კანონებს :

- კანონი საქართველოს რესპუნლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ.
- კანონი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ.
- კანონი საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ.

საქართველო საბანკო საქმიანობას იწყებს ზემოთაღნიშნული კანონებიდან გამომდინარე საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის შექმნას, რომელზეც უნდა დაშენებულიყო დამოუკიდებელი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის ფულად-საკრედიტო სისტემა.. ეროვნული ბანკის შექმნისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სახემწიფო ბანკების სახელმწიფო-კომერციულ ბანკებად გარდაქნის შემდეგ იქწყება ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი, რაცაც აკონტროლებდა ზემოთხსენებული კანონები.

საბანკო სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით დაიწყო საბანკო კანონმდებლობის ახალ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი, კერძოდ მიღებული იქნა ახალი კანონი „ საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების მიზნით წლის დსწყისში შემოღებული იქნა ხუთი სავალდებულო ნორმატივი, რომელთა რაოდენობა მათში შვიდამდე გაიზარდა. დაწესდა მოთხოვნები ბანკებისათვის მინიმალური საწესდებო ფონის ოდენობის მიმართ (1996 წლის პირველ ივნისამდე -100 ხოლო შემდეგ 500 აშშ დოლარის ოდენობით) ეროვნული ბანკები იღებს გადაწყვეტილებას, მოქმედი კომერციული ბანკების და საკრედიტო დაწესებულებების სახით სერთიფიცირების შესახებ ანუ საქმიანობის დაწყებისთვის მოსაპოვებელი გახდა შესაბამისი ლიცენზია. რომლის დაულმაცოფილების შემთხვევა მათ ავტომატურ ლიკვიდაციას ნიშნავდა. სერთიფიცირების პროცედურის გასვალმე ბანკებს აკრძალათ დივიდენდების გაცემა. ამ და სხვა მოთხოვნების გამკაცრებამ გამოიწვია ის, რომ წლის

განმავლობაში საქმიანობა შეწყვიტა 124 მა ბანკმა. ეს იყო მათი რაოდენობის ნახევრზე მეტი და რიცხვი 102–მდე ჩამოვიდა.

მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის, ლარის შემოღება, რაც ხორციელდება 25 სექტემბრიდან. უნდა აღინიშნოს, რომ სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოსაღებად მზადება რამდენიმე წლით ადრე დაიწყო, მომზადდა ათეულობით ნორმატიული დოკუმენტი. სავალუტო პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში გამოიკვეთ ამ პოლიტიკის კიდევ ერთი პრიორიტეტული მიმართულება– ქვეყანაში მოქმედი სავალუტო რეჟიმის მაქსიმალური ლიბერალიზაცია. განხორციელდა სახელმწიფო–კომერციული ბანკების კომერციულ ბანკებად ჩამოყალიბება. მოხდა კომერციული ბანკის მიერ SWIFT-ის სისტემაში ჩართვის პირველი ფაქტი და იწყება პლასტიკური ბარათების გავრცელება.

აღნიშნული პერიოდის მიმდინარედ გამოიცა კანონი, რომლის მიხედვით ბანკებს ევალებოდათ სავალდებულო აუდიტის ჩატარება. სავალდებულო გარე საერთაშორისო აუდიტის ჩატარების შესახებ ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს რეკომენდაციებ ამღევს, გარე აუდიტორებად მოიწვიონ ყველაზე ცნობილი და გამოცდილი აუდიტორიული კომპანიები, ხოლო ამის შემდეგ ბანკები ვალდებულები ხდებიან, პრესაში გამოაქვეყნონ აუდიტორების მიერ დამოწმებული ბალანსი და მოგება–ზარალი ანგარიში.

1997 წლის განმავლობაში კვლავ გძელდებოდა ეროვნული ნაკის მიერ სტრატეგიული ღონისძიებების გავჩელება : წესდება ახალი მოთხოვნები კომერციული ბანკებისთვის მინიმალური საწესდებო ფონდი ოდენობის შესახებ რომელიც გაიზარდა 5 მილიონ ლარამდე ახალ დარეგისტრირებული ბანკებისთვის, ხოლო მოქმედ ბანკებს დაუდგინდა გრაფიკი ამ დონის მისაღწევას 2001 წლის პირველ იანვრამდე. ამ პერიოდშივე იწყება მიკროსაფინასო ორგანიზაციების დარეგისტრირება, რომელსაც პირველს 1999 წელს წარმოადგენდა პროკრედიტ ბანკი ყველა მიმდინარე მოთხოვნების გათვალისინებით.

ასე ეტაპობრივად მრავალ საუკუნეიანი და მრავალ წლიანი განვითარებისა და ფორმირების სხვადასხვა ეტაპებით ყალიბდებოდა ქართული ბანკი და საბანკო სისტემა.

თანამედროვე ქართულ ბანკში იგულისხმება უკვე ყველა ის საკრედიტო ინსტიტუტი, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაერთიანდა ან ჩამოყალიბდა. XXI საუკუნის დასაწყისში სწრაფად იხვეწებოდა ბანკების მომსახურებისა და სამიანობის მიმართულებები, შესაბამისად იქმნებოდა საგადასახადო ბაზა, ჩნდებოდა დასასაქმებელი ვაკანტური ადგილები, მაგრამ ბანკების რაოდენობა მაინც მცირდებოდა, სამაგიეროდ ყალიბდებოდა ისეთი დიდი ბანკები, რომლებიც არიან საქართველოს ბანკი პროკრედიტ ბანი, თიბისი ბანკი, ვითი ბანკი და სხვა.

რაც შეეხება 2008 წლის მოვლენებამდე და მოვლენების შემდეგ საბანკო სისტემის განვითარებას, მანამდე დამტკიცდა მეტად საჭირო ნორმატიული ქტი: „კომერციული ბანკების გარეაუდიტორიული შემოწმების წესი“ რაც კონტროლს უწევდა ბანკში არსებული ფულის სწორად მართვას და ზოგადად ფულის გათეთრებას. თუმცა 2008 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები რუსეთ–საქართველოს აგვისტოს ომი და შემდეგ განვითარებული მსოფლიო კრიზისი იყო, რომელთაც ბუნებრივია დიდი გავლენა იქონიეს საქართველოს საბანკო სისტემაში მიდინარე პროცესებზე. ხუთდღიანმა ომმა ფაქტურად გააჩერა გარკვეული ხნით საბანკო ფუნქციონირება და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკა რამოდენიმე ათწლეულით უკან დახია. აქედან გამომდინარე ბანკებიც და ქვეყნის ეკონომიკაც ცდილობდა ამ კრიზისიდან გამოსვლას. 2010 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა საბანკო სისტემის კრიზისიდან გამოსვლის მიმართულებით და სწორედ 2010 წლიდან კვლავ დაიწყო ბანკისა და ეკონომიკის აღმავლობის პერიოდი შესაბამისად გატარებული რეფორმების ხარჯზე.

ზემოთაღნიშნული ფაქტების შემდეგ ეტაპობრივად და უკვე დღესდღეობით 2020–2021 წლების პარალელურად ჩამოყალიბდა და გარკვეულ დონეზე ჯერ კიდევ ყალიბდება საბანკო სისტემა, როგორც ერთ–ერთი უძლიერესი ჩამოყალიბებული კერძო ბიზნესი, რომელმაც რათქმაუნდა დიდი მნიშვნელობა შეიძინა ქვეყნის ეკონომიკის ჩამოყალიბებაში და განვითარებაში. ყოველივე აქედან გამომდინარე რა შეიძლება ითქვას საქართველოს საბანკო სისტემაზე, რომელმაც განვლო რეფორმის საკმაოდ რთული გზა? უკვე დიდი ხანია როგორც ქართული აგრეთვე უცხოელ ექსპერტთა აღიარებით, საქართველოში რეფორმებისა და ინსტიტუციონალური ჩამოყალიბების

თვალსაზრისით, ყველაზე წინ სწორედ კომერციული ბანკები წავიდნენ და აქედან გამომდინარე არსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი:

- სახლმწიფიმ შეძლო ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემების თანმიმდევრული ერთიანი პოლიტიკის განხორციელება.

- ფულის რციონალური მიწოდების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა ინფლაციური პროცესების მართვა და შენარჩუნება სხვა ვალუტების მიმართ.

- მნიშვნელოვანი წარმატება იქნა მიღწეული ბანკების კონსოლიდაციისა და გამსხვილების საქმეში საწესდებო კაპიტალის გაზრდის გზით.

- შეიქმნა კომერციული ბანკების ზედამხედველობისა და რეგულირების მოქნილი სისტემა.

- შეიქმნა საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიდისა და ინფორმაციის გამჭვირვალების ქმედითი სისტემა.

- დღეისთვის უკვე ახალი საბანკო ტექნოლოგიებისა და უახლოესი მომსახურების დანერგვით ქართული ბენკები მომხმარებლებს თავაზობენ საბანკო მომსახურების თითქმის სრულსპექტრს.

- საბანკო სისტემაში თავი მოიყარა კვალიფიციურმა კადრებმა, რომელთა ცოდნის ამდლებისათვის ბანკები საკაოდ დიდ თანხას ხარჯავენ

- ქართული ბანკის სახით ქვეყანაში ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტიტუტები.

1.2 საკრედიტო ბაზარი, ინსტიტუტები და საკრედიტო პროდუქტები

საქართველოს თანამედროვე საკრედიტო ბაზას ქმის დღევანდელი საბანკო ინსტიტუტები, რომლებიც თავიანთი პროდუქტებით მომსახურებას უწევს საზოგადოებას როგორც საცალო და ბიზნეს სექტორის, აგრეთვე საოპერაციო მიმართულებით. განვიხილოთ რამდენინე საკრედიტო ბაზრის მონაწილე, მაგრამ

საკრედიტო ბაზარის ერთ ერთი ფარტომაშტაბიანი მონაწილედ გვევლინება თიბისი ბანკი:

თიბისიბანკი — ერთ-ერთი წამყვანი ბანკი საქართველოში, რომელიც ემსახურება თითქმის 700,000 მომხმარებელს ოთხ ბიზნეს სეგმენტში: კორპორატიული, საცალო, მცირე და საშუალო ბიზნესი და მიკრო. ეს არის ქვეყანაში მეორე უდიდესი ბანკი აქტივების მიხედვით და ბაზრის ლიდერი – საცალო დეპოზიტების სეგმენტში. შვილობილ კომპანიებთან ერთად თიბისიში დასაქმებულია თითქმის 4,000 ადამიანი. ბანკი, ძირითადად, საქართველოში აწარმოებს საქმიანობას, თუმცა, მზარდი ქსელი შექმნა რეგიონში მისი შვილობილი კომპანიების მეშვეობით: თიბისიკრედიტი - აზერბაიჯანში, თიბისიინვესტი – ისრაელში და ბანკიკონსტანტა – საქართველოში, საერთო ჯამში 119 ფილიალით, 332 ბანკომატით და 2,779 პოს-ტერმინალით, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სახელი თიბისი ბანკი მის საწყის დასახელებასთან – თბილისის ბიზნეს ცენტრი – არის დაკავშირებული, რომელიც ჯერ კიდევ 1992 წელს დაარსდა. ამჟამად, თიბისი ბანკი მისი ოფიციალურად რეგისტრირებული სახელია და რა საწყიდის დასახელების აბრევიატურა.

ცხრილი №1-ის სახით წარმოგიდგენთ თიბისი ბანკის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS) შესაბამისად ჩატარებული აუდიტის კონსოლიდირებული შედეგები აშშ დოლარში (მლნ). იხილეთ საბალანსო უწყისის მონაცემები შესაბამისი პერიოდის მიხედვით.

წარმატების საფუძველი. თიბისი ბანკის ისტორია 1992 წელს დაიწყო, როდესაც ორმა ქართველმა ბიზმესმენმა მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ ბანკი დააფუძნა. მისი საწყისი კაპიტალი 500 აშშ დოლარს შეადგენდა. სწორედ იმდენს რამდენიც საჭირო იყო ბანკის დაფუძნებისთვის საქართველოში გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში.

დამფუძნებლებმა ბანკი მათი საკუთარი კომპანიის – თბილისის ბიზნეს ცენტრის – მეშვეობით შექმნეს, რომელიც რამდენიმე საცალო სავაჭრო საწარმოს მოიცავდა. იმ დროისთვის, საქართველოს საბანკო სექტორი მუშაობდა მძიმე ეკონომიკური და

პოლიტიკური კრიზისის ფონზე, როდესაც ნდობა ბანკების მიმართ უაღრესად დაბალი იყო, რაც შედეგად მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლასა და შემდგომ მომხდარ სამოქალაქო ომს. ეროვნული ბანკის რეგლამენტმა, რომელიც მხოლოდ 500 აშშ დოლარს მოთხოვდა ბანკის დასაფუძნებლად, ბევრს შეუქმნა ბანკის დაფუძნებისა და ამუშევების შესაძლებლობა.

თბილისი ბანკის საბალანსო უწყისის მონაცემები

ცხრილი №1

	013	012	011	010	009	008	007	006	005	004	003	002
ჯამური აქტივები	,451	,900	,976	,279	,031	,159	,068	57	33	15	26	0
წმინდა სესხები	,802	,370	,203	79	86	73	09	43	06	16	0	8
კლიენტთა ანაზღაურებები	,887	,487	,197	70	88	07	90	22	12	56	3	4
სააქციო კაპიტალი	29	04	81	13	94	54	97	1	6	3	2	4
წმინდა მოგება/ზარალი	24	8	5	8		35	0	3	9			

წყარო: საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები ნაერთი ფინანსური უწყისები და აუდიტორთა ანგარი

დამფუძნებლებმა ბანკი მათი საკუთარი კომპანიის – თბილისის ბიზნეს ცენტრის – მეშვეობით შექმნეს, რომელიც რამდენიმე საცალო სავაჭრო საწარმოს მოიცავდა. იმ დროისათვის, საქართველოს საბანკო სექტორი მუშაობდა მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ფონზე, როდესაც ნდობა ბანკების მიმართ უაღრესად დაბალი იყო, რაც შედეგად მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლასა და შემდგომ მომხდარ სამოქალაქო ომს. ეროვნული ბანკის რეგლამენტმა, რომელიც მხოლოდ 500 აშშ დოლარს მოითხოვდა ბანკის დასაფუძნებლად, ბევრს შეუქმნა ბანკის დაფუძნებისა და ამუშავების შესაძლებლობა. შედეგად, დაფუძნდა ოთხასზე მეტი ბანკი, რომელსაც არავითარი საბანკო ისტორია არ გააჩნდა და რომლის მიმართ ნდობის ფაქტორი დაბალი იყო. აქედან გამომდინარე, დამფუძნებლებმა, იმისათვის, რომ საკუთარი ბიზნესისათვის

უსაფრთხოდ განეხორციელებინათ საერთაშორისო ტრანზაქციები და ასევე სხვებისთვისაც შეემქნათ ასეთი შესაძლებლობა, გადაწყვიტეს ბანკისდაფუძნება.

1995 წელს ბანკს ჰქონდა 1 ფილიალი და ჰყავდა 29 თანამშრომელი, ხოლო ჯამური აქტივები შეადგენდა 1.4 მლნ აშშ დოლარს. ამ პერიოდისთვის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ინტერესი იმდენად გაიზარდა თიბისიბანკის მიმართ, რომ 2000 წლის მაისში კომპანიებმა IFC და DEG ბანკის სააქციოკაპიტალი შეიძინეს, თითოეულმა 10%, რაც წარმოადგენდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პირველ მონაწილეობას კომპანიის სააქციო სტრუქტურაში.

2002 წელს ბანკის მდგრადი განვითარება აისახა მის ეფექტიანობაზე, როდესაც მან უკან ჩამოიტოვა ყველაკ ონკურენტი და ქვეყნის უმსხვილესი ბანკი გახდა აქტივებისა და საკრედიტო პორტფელისმიხედვით. 2004 წლის იანვარში, ბანკის შვილობილმა კომპანიამ, თიბისილიზინგმა დაიწყო მუშაობა.

საცალო საბანკო მომსახურების სეგმენტის განვითარება. თიბისიბანკის აქტიური დაინტერესება საცალო საბანკო მომსახურების სეგმენტით 2006 წელს დაიწყო. ამ პერიოდისთვის ბანკი უკვე მასშტაბურად იყო წარმოდგენილი მცირე და საშუალო და კორპორატიულ სეგმენტზე, საკმაოდ ინტენსიური მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ თიბისი ბანკმა დაიწყო კიდევ უფრო სრულყოფილი პროდუქტებისა და მომსახურებების შემუშავება საქართველოს საცალო სეგმენტისათვის და 2007 წელს, ამ სეგმენტის მიმართ ახალ მიდგომას ჩაუყარა, რომლის მიხედვით კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს სხვა პროდუქტებსა და მომსახურებებს, მათ შორის:

- უცხოურივალუტისგაცვლისმომსახურებებსადადერივატივებს;
- ელექტრონულგადარიცხვებს;
- ბიზნესსაკრედიტობარათებს;
- სახელფასომომსახურებებს;
- ვაჭრობისდაფინანსებას;
- იპოთეკური სესხებს.

მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურება. მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურების სექტორში, თიბისიბანკი გთავაზობთ ფინანსურ გადაწყვეტილებებს და პროდუქტების ფართო ასორტიმენტს საქართველოს რეგიონების უმრავლესობაში. ემსახურება რა თითქმის 33,000 კლიენტს და 56,000 ანგარიშს, ჯგუფის მიზანს წარმოადგენს ეფექტიანი საფინანსო გადაწყვეტების შეთავაზება მცირე და საშუალო ბიზნესის კლიენტებისთვის მისი დივერსიფიცირებული პროდუქტები სასორტიმენტის მეშვეობით; ბანკი მუდმივად ამუშავებს ახალ პროდუქტებსა და მომსახურებებს ამ კლასის კლიენტებისათვის. მენეჯმენტი თვლის, რომ მცირე და საშუალო ბიზნეს სეგმენტი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ბირთვია ზრდის პოტენციალის მაღალი დონით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი არაქვეყნებს საბაზრო მონაცემების შედარებებს მცირე და საშუალო ბიზნეს სეგმენტისათვის, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ჯგუფი ერთ-ერთი ლიდერია აღნიშნულ სეგმენტში, როგორც მისი სესხისა და ანაბრების პორტფელის, ისე მისი კლიენტების რიცხვის თვალსაზრისით.

თიბისილიზინგი. თიბისი ბანკმა დააფუძნა სს თიბისილიზინგი, რომლის ოფისი ბულაჩაურისქუჩაზეა განთავსებული, 2004 წლის იანვარში, 0.5 მლნ ლარის ოდენობის ჯამური აქტივებით. თიბისილიზინგის სააქციო კაპიტალის 89.5%-ს ამჟამად ფლობს ბანკი, ხოლო დანარჩენს – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD). თიბისილიზინგის მეშვეობით, ჯგუფი კლიენტებს ლიზინგის სხვადასხვა სახეობებს სთავაზობს:

- ფინანსური ლიზინგი;
- უკულიზინგი;
- საოპერაციო ლიზინგი;

რაც შეეხება სოციალურ პასუხისმგებლობას დაარსების დღიდან თიბისიბანკმა მიზნად დაისახა საკუთარი წვლილის შეტანა ხალხის საყოველთაო კეთილდღეობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით. თიბისიბანკი არის მრავალი კულტურული და სოციალური პროექტის ინიციატორი და დამფინანსებელი. ბანკის სოციალური პასუხისმგებლობის პროექტების ფარგლებში, თიბისიბანკის მიერ დაფუძნებული იქნა თიბისიფონდი,

რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში 2008 წელს მომხდარი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას. ბანკმა თიბისიფონდი დააფუძნა 5 მლნლარით და მალევე დამატებით კიდევ 3 მლნ ლარი მოიზიდა მისი პროგრამებისთვის.

საქართველოს ბანკი. 1994 წლიდან, საქართველოს ბანკი ავითარებს საცალო და პერსონალური ბანკინგის მიმართულების პროდუქტებს და სერვისებს, რომლითაც დღეისათვის 2,5 მილიონზე მეტი ადამიანი სარგებლობს. საამაყო და ამავდროულად სავსაუხისმგებლო სახელის ქვეშ, საქართველოს ბანკი დღეს 8 ათასამდე თანამშრომელს აერთიანებს. წლების განმავლობაში, კომპანია ლიდერი ბანკის სტატუსს ფლობს, როგორც ფინანსური მაჩვენებლებით, ისე მოსახლეობის აღქმაში.

საქართველოს ბანკის ჯგუფი (Bank of Georgia Group PLC, „საქართველოს ბანკის ჯგუფი“, ჯგუფი, ან „BOGG“, ლონდონის საფონდო ბირჟაზე: BGEO:LN) — გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული ჰოლდინგური კომპანია, რომელიც BGEO Group PLC-ს (BGEO) ახალ მშობელ კომპანიას წარმოადგენს. 2018 წლის 29 მაისამდე BGEO, როგორც საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო ჯგუფი, საბანკო ბიზნესსა და საინვესტიციო ბიზნესს აერთიანებდა. 10-წლიანი წარმატებული საქმიანობის შემდეგ BGEO ორ დამოუკიდებელ კომპანიად გაიყო: – საქართველოს ბანკის ჯგუფი და საქართველოს კაპიტალი. BGEO-მ საბანკო და საინვესტიციო მიმართულებებზე გაყოფის თაობაზე 2017 წლის 3 ივლისს განაცხადა, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება, ორ დამოუკიდებელ ბიზნესად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, აქციონერთა საბჭომ 2018 წლის 30 აპრილს დაამტკიცა. 2018 წლის 29 მაისს მომხდარი გაყოფის შედეგად საქართველოს ბანკის ჯგუფსა და საქართველოს კაპიტალს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოები ჰყავთ. აღსანიშნავია, რომ ყოფილი საინვესტიციო ჯგუფიდან BGEO ლონდონის საფონდო ბირჟაზე ამჟამად 3 კომპანიაა წარმოდგენილი: საქართველოს ბანკის ჯგუფი (Bank of Georgia Group PLC), საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (Georgia Healthcare Group PLC) და საქართველოს კაპიტალი (Georgia Capital).

საქართველოს ბანკის ჯგუფის აქციები ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტშია განთავსებული.

საქართველოს ბანკის ჯგუფი აერთიანებს: ა) საცალო საბანკო მომსახურებასა და გადახდების მომსახურებას; ბ) კორპორატიულ და საინვესტიციო საბანკო მომსახურებასა და დაგროვილი ქონების მართვის ოპერაციებს საქართველოში; გ) საბანკო ოპერაციებს ბელარუსში (BNB) ჯგუფის მთავარი ერთეულია სააქციო საზოგადოება საქართველოს ბანკი (საქართველოს ბანკი ან ბანკი), რომელიც წამყვანი უნივერსალური ბანკია საქართველოში და თავისი ქსელის მეშვეობით საცალო ვაჭრობის ბაზარს ფინანსური პროდუქტების ფართო სპექტრს სთავაზობს. საქართველოს ბანკი 2.5 მილიონ მომხმარებელს ემსახურება და სერვისცენტრების (271), ბანკომატებისა (886) და თვითმომსახურების ტერმინალების (3,152) ერთ–ერთი ყველაზე ფართო ქსელი აქვს საქართველოში. ბანკის მომსახურებაში ასევე შედის დისტანციური საბანკო მომსახურების სრული პაკეტი და 24-საათიანი თანამედროვე სატელეფონო ცენტრი.

საქართველოს ბანკი პირველი ფინანსური ინსტიტუტია საქართველოში, რომელიც 2006 წელს ლონდონის საფონდო ბირჟაზე შევიდა გლობალური სადეპოზიტო ხელწერილების მეშვეობით და ასევე პირველი ქართული ბანკის ჯგუფია, რომელიც 2012 წლის თებერვალში ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმლისტინგში განთავსდა (LSE: BGEO). 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით ჯგუფის სამი მთავარი აქციონერია: საქართველოს კაპიტალი (JSC Georgia Capital) (19.90%), Harding Loevner LP (4.58%) და JP Morgan Asset Management (3.11%).[9]

საქართველოს ბანკისთვის საკრედიტო რეიტინგის სააგენტო Moody's-ს მინიჭებული აქვს რეიტინგი „Ba3/Ba2“ სტაბილური პერსპექტივით, რაც დადასტურებულია 2017 წლის 14 სექტემბერს. სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-ის ბანკისთვის მინიჭებული რეიტინგია „BB-“ სტაბილური პერსპექტივით, რაც დადასტურებულია 2019 წლის 15 აპრილს.

90-იანი წლების დასაწყისში დაარსებული საქართველოს ბანკის არსებობის პირველი ათწლეული სიახლეებითა და ცვლილებებით ხასიათდებოდა, რაც ბანკის მიერ ადგილობრივ ბაზარზე ახალი პროდუქტებისა და მომსახურების შემოტანით გამოიხატა.

სადეპოზიტო / საკრედიტო ბარათები, ბანკომატები, ფულადი გადარიცხვები, SMS ბანკი, წინასწარ დამტკიცებული SMS სესხები, ლიზინგი, დაზღვევა და ა.შ. დღეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა და მათ ფართოდ სთავაზობენ ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები, თუმცა საქართველოს ბაზარზე მათი შემოტანა საქართველოს ბანკის დამსახურებაა. 2004 წლიდან დაწყებული საქართველოს ბანკმა რამდენიმე სტრატეგიული მნიშვნელობის შესყიდვა განახორციელა, შემოიტანა საცალო პროდუქტების მთელი რიგი პაკეტები და დაიწყო ინფრასტრუქტურის საფუძვლიანი მოდერნიზება. სწორედ ამ დროს წამოიწყო ბანკმა კერძო საბანკო მომსახურების შეთავაზება, პირველი კორპორატიული ობლიგაციები საქართველოს საფონდო ბირჟაზე განათავსა, ავტომატიზებული გახადა საბანკო პროცესები და მოსახლეობის მიერ საბანკო ბარათების ფართოდ გამოყენების აქტიური ხელშეწყობა დაიწყო. 2006 წლისთვის ბანკს უკვე მიღებული ჰქონდა რეიტინგები უმსხვილესი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებისგან (Fitch Ratings[13], Moody's[14], S&P Global[15]).

2006 წელს, საქართველოს ბანკის ლონდონის საფონდო ბირჟაზე წარმოდგენამ განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა ბანკი და ახალი პერსპექტივები დაუსახა მას. საქართველოს ბანკმა გაამყარა საკუთარი კორპორატიული მართვის სტანდარტები, მიიღო პირდაპირი წვდომა კაპიტალის ბაზრებზე და ინსტიტუციურ ინვესტორებზე. ლისტინგის მომდევნო პერიოდი აღინიშნა პირველი ევრობონდების გამოშვებით, შემდგომი შესყიდვებით, ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარებით (მაგ.: American Express-თან[16]).

2008 წელს საქართველოს ბანკის პირველი ინტეგრირებული ინტერნეტ და მობაილ-პლატფორმა გაეშვა ქართულ ბაზარზე, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ციფრული არხების მეშვეობით მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებისკენ.

2009-2011 წლებში ბანკმა ახალ საბანკო გამოცდილებას ჩაუყარა საფუძველი SOLO-სა და Express ბრენდების სახით, რაც პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო მომხმარებელზე მორგებული საბანკო პრაქტიკის მიმართულებით. საქართველოს ბანკმა საკუთარი შემოსავლების წყაროების დივერსიფიცირება მოახდინა არასაბანკო

სექტორებში შესვლით, როგორებიცაა – ჯანდაცვა და უძრავი ქონება, რაც მოგვიანებით BGEO-ს საინვესტიციო მიმართულებად იქცა. 2012 წელს საქართველოს ბანკმა ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ FTSE 250 სეგმენტში განთავსდა, რამაც ბანკის ლიკვიდურობა გაზარდა და მეტი შესაძლებლობები მიანიჭა მას კაპიტალის ბაზრებზე. 2014 წლის ბოლოსთვის ბანკმა რამდენიმე მნიშვნელოვანი შესყიდვა განახორციელა საბანკო და არასაბანკო ბიზნესებში და ზრდის სტრატეგიის მოდიფიცირება მოახდინა ამ ორი მიმართულების ასახვის მიზნით.

ბანკის რეორგანიზაცია, რომელიც 2015 წელს დაიწყო, აღინიშნა საბანკო და საინვესტიციო ბიზნესების განცალკევებით BGEO-ს ფარგლებში (რეორგანიზაციამდე ცნობილი როგორც „საქართველოს ბანკის ჰოლდინგური კომპანია“ ან BGH). ეს ის წელი იყო, როდესაც საქართველოს ბანკმა თავისი საცალო ბრენდის მომხმარებელზე ფოკუსირებულ ბიზნესად გარდაქმნა დაიწყო. ბანკის საცალო ბრენდი აერთიანებდა ტრანზაქციულ საბანკო მომსახურებას ექსპრეს ბანკის, მასობრივ საცალო საბანკო მომსახურებას საქართველოს ბანკის ბრენდის, ხოლო პრემიუმ საბანკო მომსახურებას SOLO-ს მეშვეობით. 2015 წელი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საინვესტიციო ბიზნესისთვისაც, რადგან ამ წელს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი წარმატებით განთავსდა ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტში. 2017 წელს საქართველოს ბანკმა ირლანდიის საფონდო ბირჟაზე პირველად განათავსა ობლიგაციები ეროვნულ ვალუტაში. 2018 წელს BGEO ორ დამოუკიდებელ კომპანიად გაიყო: საქართველოს ბანკის ჯგუფი და საქართველოს კაპიტალი. 2019 წელს საქართველოს ბანკმა პირველად განათავსა დამატებითი პირველადი კაპიტალის (AT1) ობლიგაციები ირლანდიის საფონდო ბირჟაზე. ეს ტრანზაქცია დამატებითი პირველადი კაპიტალის პირველ ტრანზაქციას წარმოადგენს საქართველოდან და ამ ინსტრუმენტის პირველ გამოშვებას დსთ-დან 2018 წლის იანვრის შემდეგ.

ბაზისბანკი — შეიძლება ვუწოდოთ უნივერსალური ბანკი, რომელიც 1993 წლიდან ოპერირებს ქართულ საბანკო სექტორში. ბანკის ძირითადი მიმართულებაა ადგილობრივი წარმოების, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა და დაკრედიტება. ბაზისბანკის კლიენტები არიან როგორც მსხვილი სახელმწიფო, ასევე კერძო

კორპორაციები. ბოლო დროს აქცენტი დისტანციურ საბანკო ოპერაციებზეა გადატანილი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინტერნეტბანკინგის სერვისის განვითარებასა და ავტომატური კომუნალური გადახდების სერვისს. რამდენიმე წელია, ბანკში ევროპელი კონსულტანტები მუშაობენ, რომლებიც ქართველ კოლეგებს ეხმარებიან მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის დანერგვასა და საქართველოს რეალობასთან მის მორგებაში.

ბაზისბანკი დაფუძნდა 1993 წელს, იმ დროს, როდესაც ქვეყანაში რთული ბიზნეს გარემო იყო შექმნილი და იყო პირველი პარტნიორი ბანკი სპეციალური პროგრამის Georgian Financial System Framework (GFSF) ფარგლებში, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (en:EBRD) საქართველოს ფინანსური სექტორისთვის შეიმუშავა. თანამშრომლობა 2008 წლის მაისში გაფორმებული ხელშეკრულებით გაგრძელდა, რომლის მიხედვითაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (en:EBRD) ბაზისბანკის აქციონერი გახდა.


2012 წელს ბაზისბანკის აქციათა 90%-იანი წილის მფლობელი ჩინეთში მოღვაწე Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co. Ltd (ჰუალინგ ჯგუფი) გახდა, 2014 წლის მიწურულს კი, თავისი წილი 92,78% გაზარდა. აღნიშნული გარიგება პირველი შემთხვევაა, როდესაც ჩინური კერძო კომპანია საქართველოში იძენს მნიშვნელოვან წილს კომერციულ ბანკში. ჰუალინგ ჯგუფის გენერალური დირექტორის მოადგილის, ჯან ჯუნის, განცხადებით, რომელიც ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეცაა, ჰუალინგ ჯგუფი გეგმავს ბაზისბანკის მომსახურების ქსელის გაფართოებას. „ბაზისბანკს ექნება შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაზარდოს კლიენტების რაოდენობა. ასევე გააფართოვოს ბიზნესი ცენტრალურ ევროპასა და აზიაში.“ განაცხადა ბატონმა ჯანმა.

რაც შეეხება პარტნიორებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, 2005 წელს საქართველოს მთავრობამ სოფლის მეურნეობის განვითარებისა და დაფინანსების მიზნით გააფორმა ხელშეკრულება სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდსა (en:IFAD) და საერთაშორისო განვითარების ასოციაციასთან (en:IDA). ბაზისბანკი ჩაერთო ამ პროექტში და 2006 წელს გაფორმდა ათწლიანი ხელშეკრულება 2,5 მლნ. აშშ

დოლარის მოცულობის საკრედიტო ხაზის გამოყოფის თობაზე, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების დასაფინანსებლად გამოიყენებოდა.

სოფლის მეურნეობის განვითარების დაფინანსება

დიაგრამა №1



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბაზისბანკისა და ევრობანკის პარტნიორობა 2007 წლიდან დაიწყო. მას შემდეგ, რაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა ბაზისბანკს გამოუყო 6 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის საკრედიტო ხაზი მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად. 2008 წლის მაისში, პარტნიორული ურთიერთობის გაღრმავების სურვილის საფუძველზე, ევრობანკმა განახორციელა ინვესტიცია ბაზისბანკის აქციების 15%-იანი წილის შეძენით. ბაზისბანკის საწესდებო კაპიტალში შემოსვლის შემდეგ ბანკის კორპორაციული მმართველობის ეფექტიანობის და რისკების მართვის გასაუმჯობესებლად ევრობანკმა გრანტის სახით ნახევარი მილიონი ევრო გამოყო. ასევე, ევრობანკმა ბაზისბანკს TFP პროგრამის ფარგლებში, ვაჭრობის განვითარების მხარდასაჭერად 2 მლნ აშშ დოლარის მოცულობის ლიმიტი გამოუყო.

2009 წლის 15 დეკემბრიდან ბაზისბანკმა OPIC-სა (en) და WBC-ისთან პარტნიორობა დაიწყო. პირველი პროექტის ფარგლებში პარტნიორმა ორგანიზაციებმა ბანკს მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად 10 წლით 5 მილიონი აშშ დოლარი გამოუყვეს. 2011 წელს გაფორმდა დამატებით ორი ხელშეკრულება. ერთი

კვლავ SME დაფინანსების გასაზრდელად, რისთვისაც OPIC-მა და WBC-მა ბანკს დაუმტკიცეს ათწლიანი სესხი 3 მილიონი დოლარის ოდენობით და 2 მილიონი დოლარი სუბორდინირებული სესხის სახით.

2010 წლის 27 სექტემბერს ბაზისბანკსა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) შორის გაფორმდა ექვსწლიანი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ბანკის SME სესხების 50%-იან დაზღვევას. USAID-ის გარანტია მიზნად ისახავს SME (სოფლის მეურნეობის სექტორის ჩათვლით) სეგმენტისათვის შესაძლებლობების გაღრმავებას და დაფინანსების სტიმულირებას. პროექტის ფარგლებში გამოყოფილი საკრედიტო ხაზი შეადგენს 6 000 000 აშშ დოლარს.

2011 წელს კომერცბანკმა ბაზისბანკს სავაჭრო ოპერაციებისთვის 500 000 ევროს ოდენობით საკრედიტო ხაზი გამოუყო. აღნიშნული ხაზი ხელს შეუწყობს და მნიშვნელოვნად გაუმარტივებს საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებში ჩართულ კლიენტებს პარტნიორებთან ურთიერთობას.

2012 წელს BSTDB-სა en და ბაზისბანკს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც BSTDB-მა ბაზისბანკს 4 მილიონი აშშ დოლარის განახლებადი საკრედიტო ხაზი გამოუყო ვაჭრობის დასაფინანსებლად. პროექტის მიზანია დაეხმაროს წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას.

2007 წელს ბაზისბანკმა დააარსა „განათლების ფონდი“, რომლის ფარგლებშიც განათლების სამინისტროსა და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად, განახორციელა სხვადასხვა სახის სოციალური პროექტები: სტუდენტური სასწავლო პროგრამების დაფინანსება, ბანკის სახელობითი სტიპენდიების გაცემა და სხვადასხვა სტუდენტური კონფერენციების დაფინანსება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტების პორტატული კომპიუტერებით დაჯილდოება. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ბაზისბანკის“ მხარდაჭერით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც ქართველ მეცნიერებთან ერთად, მონაწილეობა „ნეოფიტ-რილსკის“ სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმაც მიიღეს. აგრეთვე, ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, კრებულის სახით გამოიცა კონფერენციის მასალები.

ბანკი გამოეხმაურა პრეზიდენტისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივას სკოლების ბიბლიოთეკების შევსების შესახებ და სკოლისთვის სასწავლო-მეცნიერებითი და მხატვრული კლასგარეშე ლიტერატურის ასზე მეტი წიგნი შეიძინა.

ბანკი სისტემატიურად აფინანსებს ჩაის ფესტივალს, რომელიც ყოველწლიურად ტარდება, ასევე აქტიურად თანამშრომლობს ფონდ „იავნანასთან“. „ბაზისბანკი“ ჩაერთო თბილისის მერიის პროექტში „დაიწყე ბიზნესი თბილისის მერიის დახმარებით“. პროექტი ითვალისწინებს ბიზნესის დაწყებისა და არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო დაფინანსების მიღებაში მხარდაჭერას. თბილისის მერიის პროგრამის „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ ფარგლებში გამარჯვებულმა ერთ-ერთმა სამშენებლო კომპანიამ „თბილელიტ ჰაუსმა“ დიდუბეში, სტანისლავსკის ქუჩაზე დაასრულა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ „ბაზისბანკმა“ მშენებლობის დასასრულებლად კომპანიას ჯამში დაახლოებით 300 000 აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი გამოუყო. ბაზისბანკი სპონსორობას უწევს საერთაშორისო არქიტექტურულ კონკურსს „არქიტექტურული პრემია“.

კონკურსი თბილისის მერიის ეგიდით ყოველწლიურად ტარდება. უკვე მესამე წელია „ბაზისბანკი“ აღნიშნული კონკურსის მხარდამჭერთა შორისაა. ასევე დიდი ყურადღება ექცევა ქართული რაგბის განვითარებას. ბაზისბანკი რაგბის „კლუბ აკადემია +“-ის გენერალური სპონსორია. სისტემატიურად ხორციელდება წლის საუკეთესო სპორტსმენის დაჯილდოვებაც.

სწორედ ამ სამ მოწივე ბანაკზე გვექონდა საუბარი, რომლებიც დღესდღეობით საკრედიტო ბაზარზე წარმატებით ფუნქციონირებენ სხვა ბანკებთან შედარებით, მაგრამ ამავდროულად უნდა ღინიშნოს ამავე ბაზრის მონაწილე უფრო მცირემაშტაბიანი ორგანიზაციები, რომლებიც იწოდებიან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებად. ისევე როგორც ბანკებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსაც გააჩნით თავიანთი სამსახურეობრივი სტრუქტურა, პოლიტიკა და პროდუქტები, რომელთა რეალიზაცია რეგულირდება შესაბამისი კანონით. ამ ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან: კრისტალი, შპს

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ემ ბი ეს / Microfinance Organization MBS LLC, ბერმელი, ალფაკრედიტი, ნოვა კრედიტი, რიკო კრედიტი, მონლაინ, სითი კრედიტი, ჯორჯიან კაპიტალი, კრედიტონი, სვის კაპიტალი ემბისი დ.ა შ.


საკრედიტო ბაზარის მონაწილე ამ ორგანიზაციების შედეგად იქმნება პირველ რიგში სამუშაო ადგილები, რაც ქვეყნისთვის დასაქმებულთა კმაყოფილების და რაოდენობის მხრივ პრიორიტეტულია. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2018 წლის ბოლოს საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში 24 998 ადამიანი იყო დასაქმებული, რაც 145 დასაქმებულით მეტია 2017 წლის ბოლოსთვის დასაქმებულ რაოდენობაზე. 2007 წელთან შედარებით ბანკებში 10 804 ადამიანი მუშაობს.

საქართველოში სულ 15 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს, რომლებსაც ჯამში 135 ფილიალი და 792 სერვის-ცენტრი აქვთ. ფილიალების და სერვის-ცენტრების 45% თბილისში მდებარეობს.

2018 წლის ბოლოს 4 387 ადამიანი მუშაობდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში, რაც 792 კაცით ნაკლებია 2017 წლის მაჩვენებელზე, ხოლო 900-ით 2016 წლის დასაქმებაზე.

კომერციულ ბანკებში დასაქმებულთა რაოდენობა 2007-2018წწ.

დიაგრამა №2



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

1.3.საკრედიტო პორტფელი და მისი შეფასების კრიტერიუმები

თანამედროვე საკრედიტო სისტემა წარმოადგენს სასესხო კაპიტალის ბაზრის ძირითად ელემენტს, რომელიც მოიცავს საკრედიტო ურთიერთობებს და ამ ურთიერთობებზე აგებული ინსტიტუტების ერთობლიობას, რომელიც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს ფულადი დანაზოგებისა და შემოსავლების აკუმულაციას და მათი კრედიტის სახით განთავსებას ფირმებში, კორპორაციებში, სახელმწიფოსა და მოსახლეობაში.

კომერციული ბანკების მიერ სახსრების აკუმულაციისა და განთავსების ოპერაციების ეკონომიკური საფუძველია ფულადი საშუალებების მოძრაობა, როგორც ობიექტური პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს სასესხო ღირებულებების ფორმირებასა და გამოყენებაზე. ასეთი ოპერაციების დროს კომერციული ბანკი გამოდის, როგორც საწარმო, რომელიც მოზიდული სახსრების მომგებიან განთავსებას ახორციელებს.

განვითარებული ქვეყნების კომერციული ბანკები ასრულებენ კლიენტების მომსახურების მრავალრიცხოვან ოპერაციებს, რომელთა შორის საყურადღებოა: დეპოზიტური ანგარიშების წარმოება, სესხების უნაღდო გადარიცხვები, სხვადასხვა სახის სესხების გაცემა, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, ფასეულობათა სეიფებში შენახვა და სხვა. კომერციული ბანკების შემოსავლების მიღების ანალიზის კუთხით მნიშვნელოვანია მათი საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასება, რომელიც არსებით წარმოდგენას გვაძლევს მათ საქმიანობასა და შესაძლებლობებზე.

კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული მის ხარისხთან. კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტები თავისი ხარისხის მიხედვით იყოფა ხუთ კატეგორიად: I კატეგორია (უმაღლესი) – აქ განიხილება სტანდარტული სესხები, ისინი საკრედიტო რისკისმატარებელი არ არის; II კატეგორია (არასტანდარტული სესხები), აქ განიხილება ზომიერი საკრედიტო რისკისმატარებელი სესხები; III კატეგორია (საეჭვო სესხები), აქ განიხილება მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკისმატარებელი სესხები; IV კატეგორია (პრობლემური სესხები) აქ

განიხილება მაღალი საკრედიტო რისკის მატარებელი სესხები; V კატეგორია (უიმედო სესხები), აქ განიხილება დაბრუნების ალბათობის არმქონე სესხები, როდესაც მსესხებელი უარს ამბობს საკრედიტო ვალდებულების შესრულებაზე. მთლიანობაში, ხარისხის კატეგორია განეკუთვნება რთულ კატეგორიათა რიცხვს. საკრედიტო პორტფელში აუცილებელია ურთიერთკავშირში იქნეს განხილული სასესხო და მასთან გათანაბრებული დავალიანებები, ასევე აუცილებლად გავითვალისწინოთ ურთიერთკავშირი საკრედიტო პორტფელის ელემენტებს შორის და დავახასიათოთ ახალი ეკონომიკური კატეგორიის პოზიციიდან. ამიტომ, საკრედიტო პორტფელის ხარისხზე საუბრისას არ შეიძლება გავჩერდეთ მხოლოდ საკრედიტო რისკის შეფასებაზე.

თანამედროვე ეკონომიკური კრიზისების დროს საკრედიტო პორტფელის „პრობლემურობა“ გვევლინება პირველ ადგილზე, რადგან საკრედიტო პორტფელის დროული დიაგნოსტიკა გვადლევს საშუალებას, შევამციროთ პორტფელში ვადაგადაცილებული ამოღების, უიმედო კრედიტთა რაოდენობა და დაბლა დავწიოთ ბანკის შესაძლო დანაკარგები. ბანკის საკრედიტო აქტივობა კი ახასიათებს ბანკის საკრედიტო პოლიტიკის, მოზიდული და განთავსებული სახსრების დაბალანსებულობის ხარისხს, ხოლო საკრედიტო საქმიანობის ეფექტიანობა გვიჩვენებს ბანკის მიერ გატარებული საკრედიტო პოლიტიკის შემოსავლიანობას და მომგებიანობას, რაც, საბოლოო ჯამში, კომერციული ბანკის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, რომლებიც შეიძლება დავაჯგუფოთ მაკროფაქტორებად და მიკროფაქტორებად. საკრედიტო პოლიტიკაზე მოქმედი მაკროფაქტორები – ეს ის ფაქტორებია, რომლებზეც კომერციულ ბანკს გავლენის მოხდენა არ შეუძლია: მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების ტენდენციები; ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური სიტუაცია; ქვეყნის ფულადი ბაზრის მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები; კონკურენტი კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა.

საკრედიტო პოლიტიკაზე მოქმედ მიკროფაქტორებს განეკუთვნება: ბანკის ფილიალების ქსელის სიდიდე; ბანკის პერსონალის კვალიფიკაცია; პერსონალის უზრუნველყოფა შესაბამისი ტექნოლოგიური და ინფორმაციული საშუალებებით; ბანკის საპროცენტო პოლიტიკა; ბანკის რესურსული უზრუნველყოფა. კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასებისთვის აუცილებელია: პორტფელის ანალიზი ეკონომიკის სექტორებისა და ვალუტის ჭრილში, ვადიანობისა და გირაოს მიხედვით; საკრედიტო პორტფელის რისკის დონის შეფასება, ანუ რამდენად ადეკვატურია საკრედიტო პორტფელთან მიმართებაში სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი; საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაცია, ვადიანობის ანალიზი და შეფასება; ჩამოწერილი სესხების მოცულობა და მათი ცვლილება შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.

„გამჭვირვალობის წესის“ მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ პერიოდულად სავალდებულო წესით გამოსაქვეყნებელ ინფორმაციაში შედის 18 ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელთაგან ხუთი აქტივების ანალიზის საშუალებას იძლევა. ეს მაჩვენებლები წარმოაჩენს აქტივების სტრუქტურას, მათში ნეგატიურად კლასიფიცირებული სესხების ხარისხსა და მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპს. კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხის განსაზღვრისას აუცილებელია ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინება, რადგან თითოეული მათგანი წარმოადგენს კომერციული ბანკის საკრედიტო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტს.

კომერციული ბანკების საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებელია საბანკო რეიტინგების შეფასების სისტემა, საქართველოში ფორბეს გეორგია-ის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და Ernst & Young-ის თანამშრომლობით ფორბეს-ის პერიოდულად ახორციელებს საქართველოს საბანკო სექტორის რეიტინგების შეფასება-გამოქვეყნებას. ბანკების შეფასება 4 ძირითადი ინდიკატორის მიხედვით ხდება: სრული აქტივები; გაცემული სესხები; ვალდებულებები და ანაზრები; კაპიტალი. შეფასებები ეროვნული ბანკისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საჯარო სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით კეთდება.

ბანკის საკრედიტო პორტფელის ქვეშ იგულისხმება: პრობლემურობის, რისკიანობის, საკრედიტო აქტივობის, ეფექტიანობის, ბრუნვადობის და საკრედიტო დაბანდებათა უზრუნველყოფის კომპლექსური ერთობლიობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ყველა ბანკი აწესებს მკაცრ კონტროლს საკრედიტო პორტფელის ხარისხზე. სამწუხაროდ, დღემდე საბანკო საქმის თეორიასა და პრაქტიკაში არ არსებობს ერთიანი მიდგომა. საერთაშორისო პრაქტიკაში საკრედიტო პორტფელის შეფასებისათვის გამოიყენება რეიტინგი, რომელიც დაფუძნებულია აგრეგირებულ მაჩვენებლებზე და მათ მახასიათებლებზე. იგი გვაძლევს საშუალებას, განვახორციელოთ ბანკების რანჟირება მათი საკრედიტო პორტფელის მიხედვით. კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხის შიდა ანალიზი შესაძლებელია ეფუძნებოდეს ექსპერტულ შეფასებას. უცხოელი მკვლევარები ექსპერიმენტული აზრის ქვეშ გულისხმობენ კვალიფიციურ მოსაზრებას, რომელიც ეფუძნება ექსპერტის ცოდნას და გამოცდილებას.

კომერციული ბანკი საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასებისას ეფუძნება (ფინანსურ კოეფიციენტებს) შემდეგ მაჩვენებლებს:

1. კრედიტების ხვედრით წილი ბანკის აქტივების საერთო მოცულობაში, წარმოდგენას გვაძლევს ბანკის საკრედიტო აქტივების მოცულობაზე. საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად წარმოდგენილი მაჩვენებელი თუ აღემატება 65%-ს, ბანკს ეძლევა რეკომენდაცია, გადახედოს საკუთარ საკრედიტო პოლიტიკის, რომელიც რისკის მაღალი დონის მატარებელია;

2. ბანკის საკრედიტო პორტფელის მთლიან მოცულობაში მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სესხების ხვედრითი წილი, ასევე ეკონომიკის ცალკეული სექტორების მიხედვით სესხების მოცულობები ცალკეული სახის კრედიტების მიხედვით;

3. ვადაგადაცილებულ დავალიანებათა რაოდენობა და მისი წილი კრედიტების მთლიან მოცულობაში;

4. ვადაგადაცილებულ დავალიანებათა მოცულობის ზღვრული დონე აქტივებში, რომლებსაც მოაქვთ შემოსავალი და ბანკს შეუძლია იგი დაფაროს საკუთარი წმინდა მოგების და რეზერვების ხარჯზე;

5. მაღალი რისკის მატარებელ საკრედიტო დავალიანებათა დონის მაჩვენებელი. ასეთ დავალიანებას მიეკუთვნება მე-4 და მე-5 ჯგუფის სესხები, ფასიანი ქაღალდები, ფაქტორინგი, ლიზინგი და სხვა;

6. საექვო და უიმედო დავალიანებები;

7. სხვადასხვა დარგების მსესხებლებზე გაცემული კრედიტის ხვედრითი წილის თანაფარდობა საკრედიტო პორტფელის მთლიან მოცულობასთან;

8. სასესხო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების თანაფარდობა საკუთარ სახსრებთან;

9. სესხებიდან მიღებული ზარალის დასაფარად გამოყოფილი სარეზერვო ფონდის თანაფარდობა საკრედიტო პორტფელის მოცულობასთან;

10. თანაფარდობა „მომუშავე“ და „არამომუშავე“ აქტივებს შორის;

11. ნეტო და ბრუტო აქტივებს შორის თანაფარდობა, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს ბანკის აქტივების რაციონალურ სტრუქტურაზე და მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საკრედიტო პორტფელის ხარისხზე;

12. სხვა კოეფიციენტები.

წარმოდგენილი მაჩვენებლები გვაძლევს საშუალებას, გავაანალიზოთ ბანკის საკრედიტო პოლიტიკა, განვსაზღვროთ საკრედიტო პორტფელის რაციონალური სტრუქტურა, აქტიური ოპერაციების რისკის დონე და მათი ზემოქმედება ბანკის ლიკვიდობაზე, შემოსავლებსა და რენტაბელობაზე. საერთაშორისო პრაქტიკაში საკრედიტო პორტფელის ხარისხის რეიტინგის შეფასების ძირითად მეთოდებს განეკუთვნება ნუმერაციის, ბალების და საინდექსო სისტემები.

ნუმერაციის სისტემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ რისკის ცალკეული ჯგუფებისთვის განისაზღვრება მაჩვენებელთა ჩამონათვალი, რომლის საფუძველზეც ხდება მათზე საკრედიტო პორტფელის კონკრეტული ელემენტის მიკუთვნება. ნუმერაციული სისტემის შესწავლისას უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ძირითადად აგებულია ექსპერტულ აზრზე, რომელიც ძალიან ძნელია გამოვხატოთ რაოდენობრივად, რამდენადაც სუბიექტური იქნება აღნიშნული სისტემა, მით მეტი შეცდომა იქნება დაშვებული საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასებისას.

უფრო რთული მეთოდის ფარგლებში რეიტინგის აგებისთვის გამოიყენება შეფასების ბალური სისტემა, რომელიც იძლევა საშუალებას, შევასოთ ცალკე აღებული სესხი ბალებში და მივანიჭოთ თითოეულს შეფასების მაჩვენებელი. ბალური შეფასების სისტემის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს და შემუშავდება ბანკის, კლიენტისა და საკანონმდებლო ბაზის თავისებურებიდან გამომდინარე. მის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ცუდი ადაპტაცია ცალკეული კატეგორიის სესხების და მსესხებლის მიმართ. მსესხებლებისგან ინფორმაციის საიმედოობის სირთულე და ა.შ.

ზემოთ აღნიშნულ სისტემებთან ერთად, მსოფლიო საბანკო რეიტინგების სისტემის პრაქტიკაში გამოიყენება რეიტინგების ინდექსური მეთოდი, რომლის გამოყენებისას ინდექსის გამოთვლა წარმოებს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის თითოეული მაჩვენებლის მიხედვით. გაანგარიშება აწარმოებს საბაზრო მაჩვენებლებზე დაყრდნობით ან გასაშუალებული მაჩვენებლების გამოყენებით, დინამიკაში რამდენიმე წლის განმავლობაში ცალკეული მაჩვენებლების ინდექსების გამოთვლის შემდეგ გადადიან კომბინირებული ინდექსების გამოთვლაზე.

კომერციული ბანკები საკრედიტო პორტფელის ხარისხის განსაზღვრისთვის იყენებენ საკრედიტო რეიტინგებს, რომლებიც დგინდება წამყვანი სარეიტინგო კომპანიების მიერ, მაგალითად “Standard&Poor”s, “Fitch IBCA”, “Moody”s Investors Service”. თითოეული სააგენტო ყველა მნიშვნელოვანი საბაზრო ფაქტორის მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს. ასევე, ეკონომიკური და პოლიტიკური მონაცემების შეგროვებას და მათი ანალიზის საფუძველზე ანიჭებს რეიტინგს (ოფიციალური საიტი სააგენტო „Standard&Poor”s“. www.standardpoors.com). საკრედიტო რეიტინგი ხშირად გამოიყენება ბანკებისა და სხვა საფინანსო შუამავლების მიერ დაკრედიტების დროს გადაწყვეტილების მისაღებად.

ფინანსური გლობალიზაციისა და საბანკო საქმის ინტერნაციონალიზაციის შეუქცევადმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა საბანკო ზედამხედველობის ერთიანი პრინციპების საერთაშორისო დონეზე უნიფიცირების საკითხი. ამ მიზნით 1974 წელს შეიქმნა „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი“. ბაზელის კომიტეტის ძალის-

ხმევა მიმართულია საბანკო ზედამხედველობის ხარისხის ამღლებსაკენ, უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას ცენტრალურ ბანკებს შორის. საზედამხედველო საკითხებთან დაკავშირებით ბაზელის კომიტეტმა მიიღო ცნობილი დოკუმენტები: `ეფექტიანი ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები“, „ბაზელ-ჯ“ ითვალისწინებს თითოეული ბანკისთვის საკრედიტო რისკის შეფასების შიდა რეიტინგების მოდელის გამოყენებას, რეიტინგების სისტემა კი უნდა აკმაყოფილებდეს რეგულატორების მოთხოვნებს. საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი რეგულარულად ახორციელებს საზედამხედველო მოთხოვნების გადასინჯვას კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის, საკრედიტო რისკების, რეზერვების შექმნას სიდიდის და მოცულობის მიმართ. „ბაზელ-II“-ის შესაბამისი ფინანსური მაჩვენებლები განსაზღვრულია ბაზელის კომიტეტის დირექტივებში საბანკო ზედამხედველობის შესახებ, რომელიც საკრედიტო რისკის შეფასების სამი მიდგომიდან ერთ-ერთის შერჩევის შესაძლებლობას იძლევა: – სტანდარტიზებული მიდგომა _ საკრედიტო რისკის გაზომვა სარეიტინგო აგენტების საგარეო შეფასების საფუძველზე, რისკების განაწილება აქტივების კატეგორიების შესაბამისად ბაზელ II-ში, ყველაზე მარტივი მეთოდებით კაპიტალის გაანგარიშებას; – საბაზო მიდგომა შიდა რეიტინგების მიხედვით – IRB Foundation: საბაზო მიდგომისას ბანკებს შეუძლიათ დამოუკიდებლად გამოავლინონ დეფოლტის ალბათობა, რისკის დანარჩენი კომპონენტების შეფასების გამოყენებით; – წინ წაწეული მიდგომა შიდა რეიტინგების საფუძველზე – IRB Advanced: ბანკებს მინიჭებული აქვთ უფლება, დამოუკიდებლად შეაფასონ რისკის ყველა კომპონენტი: დეფოლტის ალბათობა, დანაკარგების ხვედრითი წილი კონტრაგენტის დეფოლტისას.

პორთფელის არასწორი მართვა როგორც გაირკვა იწვევს ვადაგადაცილებული სესხების მოცულობის ზრდას რაც ავტომატურად ნიშნავს საზოგადოების ჭარბვალიანობის ზრდას. სწორედ ამიტომ მაქსიმალურად უნდა გამკაცრდეს სესხის გაცემის კრიტერიუმები და რეგულაციები, ხოლო შემცირდეს საპროცენტო განაკვეთები რადგან საზოგადოებამ მოახერხოს ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად გასტუმრება და ბანკებისთვის პორთფელებიც იქნება საიმედო, ხოლო საზოგადოებაში ჭარბვალიანობაში საუბარი უკვე გაქრება.

კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხის ანალიზისას გაირკვა რომ ამ პროცესის მართვაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. კომერციული ბანკებიც საკრედიტო პორტფელის ხარისხის განსაზღვრისთვის იყენებენ საკრედიტო ხარისხის შეფასების სხვადასხვა მეთოდებს. მათან შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე მათგანი, რომლებიც გამოიყენება ბანკებისა და სხვა საფინანსო შუამავლების მიერ დაკრედიტების დროს გადაწყვეტილების მისაღებად.

საკრედიტო პორტფელში აუცილებელია ურთიერთკავშირში იქნეს განხილული სასესხო და მასთან გათანაბრებული დავალიანებები, ასევე აუცილებლად გავითვალისწინოთ ურთიერთკავშირი საკრედიტო პორტფელის ელემენტებს შორის და დავახასიათოთ ახალი ეკონომიკური კატეგორიის პოზიციიდან;

თანამედროვე ეკონომიკური კრიზისების დროს საკრედიტო პორტფელის „პრობლემურობა“ გვევლინება პირველ ადგილზე, რადგან საკრედიტო პორტფელის დროული დიაგნოსტიკა გვამლევს საშუალებას, შევამციროთ პორტფელში ვადაგადაცილებული ამოღების უიმედო კრედიტთა რაოდენობა და დაბლა დავწიოთ ბანკის შესაძლო დანაკარგები. კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორების დაჯგუფება მიკროფაქტორებად და მაკროფაქტორებად. კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხის განსაზღვრისას აუცილებელია კრიტერიუმების გათვალისწინება, რადგან თითოეული მათგანი კომერციული ბანკის საკრედიტო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტს წარმოადგენს. კომერციული ბანკების საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებელია საბანკო რეიტინგების შეფასების სისტემა, საქართველოში ფორბეს გეორგია-ის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და Ernst & Young-ის თანამშრომლობით ფორბეს-ის პერიოდულად ახორციელებს საქართველოს საბანკო სექტორის რეიტინგების შეფასება-გამოქვეყნებას.

ამრიგად, წარმოდგენილი მაჩვენებლები გვამლევს საშუალებას, გავაანალიზოთ ბანკის საკრედიტო პოლიტიკა, განვსაზღვროთ საკრედიტო პორტფელის რაციონალური სტრუქტურა, აქტიური ოპერაციების რისკის დონე და მათი ზემოქმედება ბანკის ლიკვიდობაზე, შემოსავლებსა და რენტაბელობაზე.

თავი II. საქართველოს საკრედიტო ბაზრის მარეგულირებელი ორგანოები და სამართლებრივი ბაზა

2.1 ეროვნული ბანკის უფლებები და მოვალეობები საკრედიტო ბაზარზე

საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ ბანკს და მისი სტატუსი განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციით. ეროვნული ბანკის საქმიანობის უმთავრესი მიზანია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში 1919 წელს შეიქმნა. იგი დღევანდელი სახით, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ცენტრალური ბანკი, 1991 წლიდან არსებობს.

საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აქვთ მის საქმიანობაში ჩარევის უფლება. საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკის უფლება-მოვალეობები, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად. იგი ფლობს, მართავს და განკარგავს ქვეყნის ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს. საქართველოს ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია, მის ხელთ არსებული მარეგულირებელი და მონეტარული ინსტრუმენტებით უზრუნველყოს მასზე კანონმდებლობით დაკისრებული ძირითადი ფუნქციებისა და მიზნების შესრულება.

საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობისათვის, სექტორის მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვის მიზნით ეროვნული ბანკი ზედამხედველობას უწევს საფინანსო სექტორს. ეროვნული ბანკი ასევე ახორციელებს „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების

ადკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირების მიერ, აღნიშნული კანონის და მის საფუძველზე ფინანსური მონიტორინგის სამსახურის და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესრულების პროცესის ზედამხედველობას. ზედამხედველობა ხორციელდება რისკზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად, როგორც დისტანციური, ასევე, ადგილზე შემოწმებების გზით. ამასთანავე, საქართველოს ეროვნული ბანკი არის მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.

საქართველოს ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია, საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად აწარმოოს და გაავრცელოს ქვეყნის საფინანსო და საგარეო სექტორის სტატისტიკა, აგრეთვე, უზრუნველყოს ქვეყანაში საგადახდო სისტემების ეფექტიანი და გამართული ფუნქციონირება. საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს ექსკლუზიური უფლება, განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე ფულის ნიშნების, როგორც გადახდის კანონიერი საშუალების, ემისია, ასევე, მიმოქცევისათვის ან ნუმიზმატიკური მიზნებისათვის სამახსოვრო მონეტების მოჭრა.

საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, საბანკო მომსახურება გაუწიოს სხვა ქვეყნების მთავრობებს, ცენტრალურ ბანკებსა და ფულად-საკრედიტო ორგანოებს, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციებს. საქართველოს ეროვნული ბანკი მონაწილეობს იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში, რომელთა მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის გზით მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა.

საქართველოს ეროვნული ბანკი საინფორმაციო პოლიტიკას წარმართავს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საბანკო სისტემის საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და საბანკო სისტემაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის ოპერატიულად მიწოდების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი რეგულარულად მართავს შესაბამის თემებზე პრესკონფერენციებს, ბრიფინგებს, კონფერენციებს, სემინარებს, პრეზენტაციებსა და

შეხვედრებს. დამატებითი შეკითხვებისათვის მიმართეთ საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილებას: ტელ.: 240 64 88, 240 62 93, ელექტრონული ფოსტა: info@nbg.ge.

საქართველოს ეროვნული ბანკს მრავალმხრივი პოლიტიკა გააჩნია მაგრამ ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკის, მონეტარული პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფასების სტაბილურობა გულისხმობს ინფლაციის ზომიერი და პროგნოზირებადი ტემპის არსებობას, რაც აუცილებელი ფაქტორია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის. ამასთანავე, ეროვნული ბანკი ზრუნავს საფინანსო სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებაზე და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას. ამგვარად, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა ემსახურება ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის შენარჩუნებას, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პოტენციალის ამაღლებასა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები განსაზღვრულია ორგანულ კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. ხოლო ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი და მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები მოცემულია "ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში", რომელიც ყოველწლიურად მუშავდება ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისას დამოუკიდებელია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებისაგან „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ფარგლებში.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი არის ინფლაციის თარგეთირება. აღნიშნული რეჟიმი გულისხმობს ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის წინასწარ გამოცხადებას. გრძელვადიან

პერიოდში ფასების ცვლილების სასურველ დონედ საქართველოში განიხილება წლიური ინფლაცია 3 პროცენტის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ინფლაციის მაღალი დონე, რაც პროდუქტიულობის ზრდის შედარებით მაღალ ტემპებს უკავშირდება. ამიტომ, საქართველოში ინფლაციის თარგეთირებაზე გადასვლიდან გარკვეული პერიოდის მანძილზე ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელი 3 პროცენტზე მაღალი იყო. თუმცა განვითარების არსებულ ეტაპზე, აღნიშნული მიზნობრივი მაჩვენებლის შემცირება მიზანშეწონილი გახდა. შესაბამისად, 2018 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი მის გრძელვადიან დონემდე, 3 პროცენტამდე შემცირდა.

ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად საქართველოს ეროვნული ბანკი საოპერაციო ორიენტირად ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიან (შვიდ დღემდე) საპროცენტო განაკვეთს იყენებს. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის მართვით ეროვნული ბანკი ზეგავლენას ახდენს ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთზე, რაც გარკვეული პერიოდის შემდეგ აისახება კომერციული ბანკების ჯერ მოკლევადიან, ხოლო შემდგომ გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებზე და საბოლოო ჯამში ქვეყანაში ერთობლივ მოთხოვნაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ინსტრუმენტია ერთკვირიანი რეფინანსირების სესხები, რომლებიც გაიცემა კომერციულ ბანკებზე აუქციონის მეშვეობით. ეროვნული ბანკი აქტიურად იყენებს მონეტარული პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტებსაც, როგორცაა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, ღია ბაზრის ოპერაციები სადებოზიტო სერთიფიკატებითა და სახაზინო ფასიანი ქაღალდებით და ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი. მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები - „ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები“

კომერციული ბანკების დროებითი ფინანსური სიძნელეების და/ან ლიკვიდური სახსრების მწვავე უკმარისობის შემთხვევაში, საბანკო სექტორში სისტემური პრობლემებისა და კრიზისის შესაძლო განვითარების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებზე გასცემს ბოლო ინსტანციის სესხს.

რაც უფრო ეფექტიანია ეროვნული ბანკის ინსტრუმენტები, ფასების სტაბილურობის მიღწევა მით უფრო ნაკლები საზოგადოებრივი დანახარჯითაა შესაძლებელი, შესაბამისად ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების დახვეწასა და მონეტარული გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობის ზრდაზე.

2.2 საფინანსო სექტორის თანამედროვე რეგულაციები და მოსახლეობის ჭარბვალიანობა (ეროვნული ბანკის რეგულაციებზე მორგება საკრედიტო ინსტიტუტების)

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ახალი რეგულაციები შეიმუშავა, დახვეწა და დანერგა. ამ რეგულაციების შესახებ სები აკეთებდა განცხადებებს, მაგრამ, როგორც ჩანს, საფინანსო სექტორი მას სრულყოფილად მომზადებული ვერ შეხვდა. ეს დაანონსებული ცვლილებები შეიძლება სამ ბლოკად დავყოთ.

1. ცვლილებები ორგანულ კანონში “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ”, რომლის მიხედვით ეროვნულ ბანკს მიეცა სრული უფლებამოსილება, გაუწიოს

ზედამხედველობა მთელ საფინანსო სექტორს (ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორები, საბროკერო კომპანიები, საფონდო ბირჟები, ცენტრალური და სპეციალიზებული დეპოზიტარები, აქტივების მმართველი კომპანიები, ანგარიშვალდებული საწარმოები, საინვესტიციო ფონდები, საგადახდო სისტემის ოპერატორები და საგადახდო მომსახურების პროვაიდერები, ნაწილობრივ ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები) და ცვლილებები კანონში “კომერციული ბანკების საქმიანობის” შესახებ, რომლებიც 2017 წელს განხორციელდა. მათი დიდი ნაწილი მიმართულია სექტორის ფინანსური მდგრადობის, გამჭვირვალობის ხელშეწყობისა და კორპორაციული მართვის კულტურის ასამაღლებლად. კიდევ უფრო გაფართოვდა სების უფლებამოსილება და ცვლილების მიხედვით ის ზედამხედველობას გაუწევს არა მარტო ბანკებს, არამედ საბანკო ჰოლდინგებში შემავალ საბანკო ინსტიტუტებს; სრულებით

შეიზღუდა ბანკების მიერ ისედაც რეგულირებული, არასაბანკო აქტივების ფლობა და სებს საშუალება მიეცა, უფრო ეფექტიანი გახადოს საბანკო ჯგუფების კონსოლიდირებული ზედამხედველობა.

2. ზემოთ აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, აღსანიშნავია ცალკეული სიახლეები, რომელთა მიზანია საბანკო ინსტიტუტებში გამჭვირვალობისა და კორპორაციული მართვის სტანდარტების ამაღლება. მაგალითად, ზემოთ აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა აამაღლა კრიტერიუმები ბანკების აქციონერებისა და ადმინისტრატორების მიმართ და დაამკვიდრა სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის – დამოუკიდებელი დირექტორის ცნება. ამ ცვლილებების მიხედვით, კომერციულმა ბანკებმა აუდიტის კომიტეტი უმრავლესობით უნდა დააკომპლექტონ დამოუკიდებელი დირექტორებით, რაც სამეთვალყურეო საბჭოში მინიმუმ ორი დამოუკიდებელი წევრის არჩევას ნიშნავს. ასევე, გამოირიცხა აღმასრულებელი დირექტორების არჩევა სამეთვალყურეო საბჭოში. ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯები კვალიფიციური ზედამხედველობისაკენ.

2017 წელს დამტკიცდა და უკვე ამოქმედდა ბაზელ 3-ის ჩარჩოზე დაფუძნებული “კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესი”, რომლის მიხედვითაც ბანკები ვალდებული არიან, გამოაქვეყნონ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია კაპიტალის, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების, მენეჯმენტის ანაზღაურებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. “კორპორაციული მართვის დებულება” და “ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი”, რომელთა მიღებას რეგულატორი უახლოეს მომავალში გეგმავს, კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტებისა და ბანკების ფუნქციონირების გამჭვირვალობის ამაღლებისაკენ არის მიმართული.

3. სიახლეების შემდეგი რიგი შეეხება კომერციული ბანკების უსაფრთხო ფუნქციონირებას. ბანკების ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის “ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპების” შესაბამისად, ბაზელ 3-ის ფარგლებში, კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა “კომერციული ბანკების კაპიტალის

ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება” (ცვლილება), “პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკების კაპიტალის დამატებითი ბუფერების განსაზღვრის წესი”, “სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების თაობაზე”, “კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის განსაზღვრა”. ასევე, პილარ 2-ის ფარგლებში კომერციულ ბანკებს უწესდებათ კაპიტალის დამატებითი ბუფერი რისკების შეფასების საერთო პროგრამის (General Risk Assessment Program – GRAPE) მიხედვით და სხვა. ეს მნიშვნელოვანი და საგრძნობი სიახლეები ბანკებისაგან მოითხოვს კაპიტალის ადეკვატურობის უფრო მაღალ კოეფიციენტს ან შემოსავლიანი აქტივების ზრდის შეზღუდვას, რაც ბანკების აქტივობის შენელებას და მოგებიანობის შემცირებას გამოიწვევს.

2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სების ახალი ინსტრუქცია ფასს 9-ის (IFRS 9) სტანდარტების დანერგვის შესახებ. “ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების” ახალი სტანდარტი მოწოდებულია ჩაანაცვლოს “აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები” (IAS 39). სების მიერ გამოშვებული შესაბამისი მეთოდური სახელმძღვანელო ძირითადად გამიზნულია “ფინანსური ინსტიტუტების” სასესხო პორტფელის რისკიანობის შეფასებისათვის. არსებითი განსხვავება აქამდე მოქმედ სტანდარტთან მიმართებით ის არის, რომ ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ზარალის რეზერვი უნდა ეფუძნებოდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის, და არა დამდგარი ზარალის აღრიცხვის მოდელს. მომავალში სასურველია, რომ სესხების დარეზერვებისა და კლასიფიკაციის ეროვნული სტანდარტები, რომლებიც პარალელურად არსებობს სების ინსტრუქციის სახით, მაქსიმალურად დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ფასს 9 სტანდარტის ამოქმედება საკმაოდ შრომატევადი პროცესია, რაც გამოიწვევს პერსონალის შრომითი დანახარჯების ზრდას და ახალ ინვესტიციებს პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში. შესაბამისად, ესეც აისახება ბანკების მოგებიანობაზე.

2017 წელს განახლებული რეგულაცია “კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ” გულისხმობს ეტაპობრივად, 2018 წლის 31 დეკემბრამდე მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის გაზრდას 50 მილიონ

ლარამდე. ასევე, მოსალოდნელია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კაპიტალიზაციის გაზრდისაკენ მიმართული ნორმატიული აქტების გამოშვება.

2018 წლის მაისიდან სებმა შეზღუდა არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების გაცემა ბანკის კაპიტალის 25%-ზე მეტი ოდენობით, რაც ბანკებს უბიძგებს, საკრედიტო დაბანდების გაზრდის შანსები სხვა სეგმენტებში ეძებონ. არსებული მეთოდოლოგიით, ასევე, რეგლამენტირებულია უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხებისათვის მომსახურების კოეფიციენტი. სესხებზე, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ განსაზღვრულ ლიმიტებს, ბანკებს მკვეთრად გაეზარდათ საზედამხედველო ტვირთი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სექტორი ელოდება ახალ რეგულაციას – სამომხმარებლო სესხებზე მაქსიმალური ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთის 50%-ით შეზღუდვის შესახებ. აღნიშნულ ღონისძიებებს სები ახორციელებს “ჭარბვალთანობასთან” ბრძოლისა და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პოლიტიკის გატარების ნაწილში. იმედია, თავისთავად კეთილშობილური ეს მოთხოვნა წინააღმდეგობაში არ მოვა ციფრული ეკონომიკისაკენ ჩვენს ზოგად მისწრაფებასთან. ამ ნაწილში მნიშვნელოვანია მთავრობის ინიციატივა მცირე ბიზნესის გამარტივებული დაბეგვრის შესახებ, რაც პოტენციურ მსესხებლებს კანონგარეშე აღარ დააყენებს და ბანკებს საშუალებას მისცემს, ასეთი კატეგორიის მსესხებლები გამარტივებული პროცედურებით დააკრედიტონ. ამ ბლოკის სიახლეებიც, ერთი მხრივ, გაზრდის საოპერაციო ხარჯებს და, მეორე მხრივ, შეამცირებს საპროცენტო მარჟას, რაც პირდაპირ აისახება ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების მოგებიანობაზე.

მინიმალური რეზერვების მოთხოვნის გაზრდას (15%-დან, 20%-მდე), ლიკვიდობის ახალ მოთხოვნას და დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ამოქმედებას მოჰყვება მოზიდული სახსრების გაძვირება და/ ან მოგებიანობის შემცირება.

მას შემდეგ, რაც სებმა თავისი რეგულირების ქვეშ მოაქცია ონლაინსესხების კომპანიები, პრუდენციული ნორმები გაავრცელა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, ეს გახდა სიგნალი, რომ დაიწყებოდა ამ სეგმენტის სწრაფი კონსოლიდაცია, კაპიტალიზაციის ზრდა და არაკვალიფიციური მოთამაშეების ბაზრიდან გასვლა, რასაც ახლა ჩვენ თვალს ვადევნებთ. სები ასევე აკეთებს განცხადებას, რომ შემოაქვს “სესხის

გამცემი” სუბიექტის დეფინიცია და მასში მოხვედრილი სუბიექტებიც დაექვემდებარებიან რეგულირებას. ამ პროცესში ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს ბაზრის ყველა, დიდი და პატარა მოთამაშისათვის თანაბარი და სამართლიანი ეკოსისტემის შექმნა. ცალკე შეიძლება საუბარი საფონდო ბაზრის ინდუსტრიასა და კაპიტალის ბაზრის განვითარებაზე, მაგრამ ამ მიმართულებით მონაწილეთა მიერ გადადგმული ნაბიჯები მოთელვას უფრო ჰგავს.

ყოველივე ეს ნათლად მიუთითებს, რომ საფინანსო ინსტიტუტების ბაზარზე ახალი ეტაპი იწყება – ლიბერალურიდან გადავდივართ რეგულირებად რეჟიმზე. აქამდე ქართული ბანკების ცალკეული წარმომადგენლების წარმატებებისათვის წინა მიდგომას

ხელი არ შეუშლია, თუმცა მთლიანად საფინანსო ინსტიტუტებისათვის დრო მოვიდა განვითარების ახალ ეტაპზე გადასასვლელად.

რას მოიტანს ეს სიახლეები? 2019 წელს საბანკო-საფინანსო სექტორის სურათი 2017 წლის ვითარებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება. მოკლევადიან პერიოდში ეს მოიტანს საცალო დაკრედიტების შენელებას, სექტორში ხარჯების ზრდას, კაპიტალზე მოთხოვნის ზრდას და მოგებიანობის შემცირებას, გრძელვადიან პერიოდში კი, იმედი ვიქონიოთ, ქართული საფინანსო სისტემის ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

რაც შეეხება მოსახლეობის ჭარბვალიანობას, შეიძლება ითქვას, რომ ჭარბვალიანო ბიდან გამომდინარე ხდება მოსახლეობის ნაწილობრივ გაღარიბება და სწორედ ეს აღნიშნა ბ-ნმა ბიძინა ივანიშვილმა რომ მოსახლეობის გაღარიბების სამი მიზეზიდან ერთერთი არის მოსახლეობის მიერ მაღალი მოცულობის კრედიტების აღება, რომელმაც ჭარბვალიანობაში გადაიზარდა.

საქართველოს ექსპრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა, საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურამდე მოსახლეობის გაღარიბების მთავარ მიზეზად სესხები და ჭარბვალიანობა დაასახელა. არჩევნების მეორე ტურამდე კი ბიძინა ივანიშვილის “ფონდმა ქართუმ”, მთელი საქართველოს მასშტაბით, 2000 ლარამდე ვადაგადაცილებული სესხების პორტფელის შეძენა დააანონსა. მთავრობის განცხადებით, ეს ნაბიჯი ჭარბვალიანობის შემცირებისთვის გადაიდგა.

2019 წლიდან საქართველოს საფინანსო ბაზარზე ახალი რეგულაციებია დაგეგმილი. კერძოდ კი ფიზიკური პირების დაკრედიტების წესის ცვლილება მკვეთრ ჩარჩოებში მოაქცევს საფინანსო სექტორს, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შეიცვლება ის პროცედურები, რომლებითაც დაკრედიტება ხდება. გადახდისუნარიანობის სიღრმისეული ანალიზის გარეშე სესხების გაცემა შეჩერდება. დაგეგმილი ცვლილება ქვეყანაში ჭარბვალთანობის შემცირებას ისახავს მიზნად. სწორედ ასეთ სესხებს მიაწერს მმართველი პარტიის თავმჯდომარე მოსახლეობის გაღარიბებას. თუმცა ჩნდება კითხვა, სესხის აღებამდე იყო მოქალაქე ღარიბი, თუ ის სესხმა აქცია ასეთად? რომელია პირველადი – სესხი თუ სიღარიბე?

ერთიანი მეთოდოლოგია, რომლითაც ჭარბვალთანობის შეფასებაა შესაძლებელი, არ არსებობს. მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რაც მისი მასშტაბის შესახებ შეგვიქმნის წარმოდგენას, არის საბანკო სექტორში უმოქმედო სესხების წილი. ამ კრიტერიუმის მიხედვით, საქართველოს ევროპისა და რეგიონის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელი აქვს, რაც IMF-ის მონაცემებით მთლიანი საბანკო სესხების 2.7%-ს შეადგენს. შედარებისთვის არაერთ ევროპულ ქვეყანას ამაზე რამდენჯერმე დიდი ვადაგადაცილება აქვს (დანია – 4.2%, ირლანდია – 9%, იტალია – 9.8%, რუსეთი – 10%, პორტუგალია – 11%).

საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საფინანსო სისტემიდან ერთმა მილიონმა ადამიანმა ისე აიღო სესხი, რომ მათ სახელზე ოფიციალურად არც ერთი თეთრის შემოსავალი არ აღინიშნებოდა. ამავე ანგარიშში მითითებულია, რომ ვადაგადაცილების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი მიკროსესხების პორტფელშია. სეზ-ის კალკულაციით, 400 ლარამდე მოცულობით გაცემულ სესხებში 45% ვადაგადაცილებული იყო. 200 ლარი ორი თვის ვადით, წლიურ 43%-ად, 250 ლარი სამი თვის ვადით წლიურ 46%-ად – ეს არის ის ტიპური მიკროსესხები, რომლებსაც დღეს ქართული საფინანსო სექტორი გასცემს. ოფიციალური მონაცემებით, სესხების ვადაგადაცილების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია იმ ტიპის კრედიტებში, რომლებსაც უმეტესწილად ყველაზე დაბალშემოსავლიანი მოქალაქეები იღებენ.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, ფიზიკური პირებისთვის გაცემული სესხის მოცულობის მიხედვით ვადაგადაცილების მაჩვენებლები ასეთია:

მთავრობის პასუხი ყველაზე მცირე ზომის – 400 ლარამდე მოცულობის სესხებში არსებულ მაღალ ვადაგადაცილებაზე არის ის, რომ მსესხებლის შემოსავლებისა და ქონების დეტალური გადამოწმების გარეშე, პრაქტიკულად აიკრძალოს თანხის გაცემა. ამავდროულად, დადგინდეს მაქსიმალური ჭერი, რაც კონკრეტული შემოსავლის მქონე ადამიანმა ვალის მომსახურებისთვის ყოველთვიურად შეიძლება გადაიხადოს. არსებობს რეალური ალბათობა, რომ ამ ნაბიჯმა მოსახლეობის საკმაოდ ფართო ფენას ლეგალურ სასესხო ბაზართან წვდომა შეუმციროს. რთულია წინასწარ პროგნოზირება, გააუმჯობესებს თუ არა ეს გადაწყვეტილება მოსახლეობის იმ ნაწილის მდგომარეობას, რომელიც არასახარბიელო სოციალური ფონიდან გამომდინარე, ფინანსური რესურსების დეფიციტს გამუდმებით განიცდის.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებით, 2017 წლის განმავლობაში საქართველოს 230,000-მა მოქალაქემ ოფიციალური სახელფასო შემოსავლის სახით წელიწადში 1200 ლარზე ნაკლები თანხა აიღო. ეს, ერთ თვეზე კალკულაციით, თვეში 100 ლარზე ნაკლებია. მთლიანობაში 537,000-ს აღემატება მათი რაოდენობა, ვისი დეკლარირებული შემოსავალიც თვეში 400 ლარზე ნაკლებია. მოსახლეობის ამ ნაწილისთვის თვიდან თვემდე, საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენა რთულ ამოცანას წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებსა და მთელ საფინანსო სექტორს თამაშის ახალ წესებს დაუდგენს, არსებობს ალბათობა, რომ მოსახლეობის ამ ნაწილს გადაეკეტოს წვდომა იმასთან, რაც მათ სეზონურ და მცირე შემოსავალს გარკვეულწილად აბალანსებდა.

თავად ამ ვალების ზომაც იმას მიაჩნია, რომ ეს თანხა უფრო მეტად მოკლევადიანი ლიკვიდობის პრობლემის დაფარვისთვის გამოიყენება. 200 ლარი 3 თვის ვადით ან 350 ლარი 6 თვის ვადით არის კრედიტის ის მოცულობა, რაც ათასობით ადამიანს მოულოდნელი ან გადაუდებელი ხარჯების დასაფარავად ესაჭიროება და ეს დანაზოგიც არ გააჩნია. ეკონომიკაში არაფორმალური სექტორის წილი ყველაზე მაღალი საქართველოს რეგიონებშია, აქ თითქმის ერთ მილიონამდე მოქალაქე სოფლის

მეურნეობაშია თვითდასაქმებული. არამდგრადი შემოსავლების გამო, ნაღდი ფულის დეფიციტი მათთვის უფრო მწვავედ დგას. იმის გამო, რომ ამ ადამიანებს მნიშვნელოვანი სტაბილური შემოსავალი არ გააჩნიათ, მათ სახელზე გაცემული სესხები შედარებით რისკიანია, რის გამოც ამ კრედიტების საპროცენტო განაკვეთი მაღალია. მაღალი რისკი ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც საკრედიტო ბაზრის ამ ნაწილში ვადაგადაცილების პროცენტულად მაღალი მაჩვენებელია. ამ ადამიანებმა საკუთარი შემოსავლების სიმცირის ან სხვა ბარიერების გამო, აღებული ვალების მომსახურება ვერ შეძლეს, ან რაც კიდევ უფრო მიმიმა, არსებული ვალების მომსახურებისთვის ახალი ვალების სპირალში ჩაერთვნენ, შედეგად მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. არსებული ვადაგადაცილება სხვა მხრივაც პრობლემას წარმოადგენს: იმის გამო, რომ ვალების ავტომატური აღსრულება არ მოხდეს, ასობით ადამიანი ფორმალურ სექტორში დასაქმებას თავს არიდებს.

ვალებით თუ ვალების გარეშე, ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ღარიბია. ჭარბვალიანობის პრობლემა ამ სიღარიბის მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილია. ისმის კითხვა – დღევანდელ ქართულ რეალობაში არსებულ საჯარო დისკუსიაში, არის თუ არა “ჭარბვალიანობის” ცნება ახლებურად შეფუთული სიღარიბე და რა შედეგის მოტანა შეუძლია არა სიღარიბესთან, არამედ “ჭარბვალიანობასთან” ბრძოლას? თუ ჭარბვალიანობა სიღარიბის შედეგია, ბუნდოვანია, რას მოიტანს არა მიზეზთან, არამედ მის შედეგთან ბრძოლა. ან რა მოჰყვება იმას, რომ მოსახლეობის ყველაზე დაბალშემოსავლიანი ნაწილი ახალი რეგულაციების შედეგად, ერთ დღეს აღმოაჩენს, რომ სესხის აღება აღარ შეუძლია? ხელისუფლებისთვის პოლიტიკურად ხელსაყრელია საკითხის ამგვარად დასმა, რომ იმ ნაბიჯების მეშვეობით, რის გადადგმასაც თავად გეგმავენ, ხალხი არ აიღებს ისეთ სესხებს, რომელთა მეშვეობითაც ისინი “თავს დაილუპავენ”. თუმცა, ამ რეგულაციის ზუსტი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი არ არის წარმოდგენილი.

ეროვნული ბანკი აღიარებს, რომ ამ საბანკო რეგულაციას მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა ექნება. აქვე სეზ-ი აღნიშნავს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში მისი შედეგი პოზიტიურია. საფინანსო სექტორის

სიჯანსაღის შეფასების მთავარი კრიტერიუმით, ვადაგადაცილებული სესხების სიმცირით საქართველო ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი მოწინავეთაგანია.

ბაზრის სიჯანსაღეზე კიდევ ერთი ინდიკატორიც მეტყველებს, ეს ეგრეთ წოდებული “საპროცენტო სპრედია”. მისი დათვლისთვის ბანკების მიერ გაცემული სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთს უნდა გამოვაკლოთ ბანკებში არსებული დეპოზიტების საპროცენტო სარგებელი.

განაკვეთების სპრედი აჩვენებს, რომ ბანკები მათი საოპერაციო საქმიანობიდან უფრო მეტ პროცენტს იტოვებდნენ წარსულში, ვიდრე ახლა. რაც უფრო დიდია სხვაობა სესხებისა და ანაბრების განაკვეთებს შორის, ეს ნიშნავს, რომ კომერციული ბანკი, საკუთარი მოგებისთვის, საოპერაციო საქმიანობისა თუ საკრედიტო რისკის დასაზღვევად მით უფრო მეტ ფულს იტოვებს. რაც ნაკლებია ანაბრებსა და კრედიტებს შორის სპრედი, მით მცირეა ის თანხა, რასაც ბანკი საკუთარი საოპერაციო საქმიანობისთვის იტოვებს.


საპროცენტო სპრედის ზრდა/შემცირება ასევე მიანიშნებს საბანკო სფეროს ზოგად მოლოდინზეც. თუ გაურკვეველობის მდგომარეობა მზარდია, საფინანსო სექტორში ბუფერის როლის შესასრულებლად, სპრედის მოცულობა იზრდება, რისკების შემცირებასთან ერთად კი სპრედიც მცირდება. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2017 წლის მეოთხე კვარტალის მდგომარეობით, სესხებსა და ანაბრებს შორის საშუალო საპროცენტო სხვაობა მხოლოდ 5.1%-ია. 2011 წელს სპრედი ამაზე მაღალი იყო და 7.2%-ს შეადგენდა. ანუ წარსულში ბანკები საოპერაციო საქმიანობისა და მოგების მისაღებად უფრო მეტ ფულს იტოვებდნენ, ვიდრე დღეს. ეს კი მიანიშნებს იმაზე, რომ ეროვნული ბანკისგან განსხვავებით, საბანკო სექტორი ფიზიკური პირების ვადაგადაცილებულ მიკროსესხებს ფუნდამენტურ რისკად არ აღიქვამს.

ამის მიუხედავად, სახელმწიფო მხარს უჭერს იმ ცვლილების მიღებას, რაც ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას შეამცირებს. კერძო ბიზნესის განცხადებით, ასეთი რეგულაცია “საფრთხეს შეუქმნის ქვეყანაში სტაბილური ბიზნესგარემოს ფორმირების პროცესს და შეამცირებს ეკონომიკურ ზრდას, რაც თანაბრად აისახება ქვეყნის თითოეულ მოქალაქეზე”. ეკონომიკური ზრდის შენელება ახალი სამუშაო ადგილების

შექმნის პროცესს შეამცირებს, რაც თავის მხრივ ქვეყანაში სიღარიბის აღმოფხვრას შეანელებს. მეორე მხრივ, საფინანსო სექტორის მიმართ პოლიტიკოსთა კრიტიციზმი მხოლოდ ჭარბვალთანობას არ უკავშირდება. თანამდებობის პირები საპროცენტო განაკვეთების სიძვირეზეც აპელირებენ და მიუთითებენ, რომ საქართველოში ბიზნესს განვითარებაში განსაკუთრებით ძვირად ღირებული სესხები უქმნიან პრობლემებს.

თუმცა სინამდვილეში საქართველოში სესხი ბევრად იაფია, ვიდრე რეგიონის სხვა ქვეყნებში. ეს კი იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით ქვეყანაში გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი მოქმედებს, რაც ლარის სესხებზე 7%-ზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის არსებობას თითქმის შეუძლებელს ხდის. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოში ეროვნულ ვალუტაში სესხის საშუალო ღირებულება 11.5%-ია, სომხეთში – 14.4%, უკრაინაში – 16.4%, აზერბაიჯანში – 16.5%, ხოლო ბელორუსში – 9.7%.

დიაგრამა №3



წყარო: საქართველოს შემოსავლების სამსახური

ქვეყნის რისკი საკრედიტო რისკის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია და ის მეტწილად განსაზღვრავს კიდევ ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთებს. იმას, თუ როგორია რისკი, მიუკერძოებელი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოები Moody's, Fitch-ი და

S&P ობიექტურ კრიტერიუმთა ერთობლიობაზე დაყრდნობით განსაზღვრავენ. Fitch-ის შეფასების სკალით საქართველოს ქულა არის BB-, ეს ქულა, მართალია, უღარიბესი განვითარებადი ქვეყნების მაჩვენებელზე მაღალია, თუმცა ის მაინც Junk-ს, ანუ სპეკულაციურ კატეგორიას მიეკუთვნება. საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება კი სწორედ მაღალი ეკონომიკური ზრდით, ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის დამკვიდრებითა და სიღარიბის შემცირებით არის შესაძლებელი. ამ შემთხვევაში საქართველოში განაკვეთების ღირებულებაც ევროპულ მაჩვენებლებს დაუახლოვდება.

2.3 საკრედიტო რისკები და საკრედიტო ინსტიტუტების სვოტ-ანალიზი

საბანკო სისტემამ სწრაფი ცვლილებები განიცადა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, რასაც შედეგად მოჰყვა საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული კომპლექსური რისკების ზრდა. რისკზე წასვლა თავისთავად ნეგატიური ნაბიჯი არ არის და იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს დამატებითი მოგების მიღებასთან. საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული კომპლექსური რისკების ზრდამ განაპირობა გამართული კორპორაციული მართვის აუცილებლობა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ბანკის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და პროცედურების აქტიურ ზედამხედველობას, რისკების შეფასებასა და დადგენას, მათი ლიმიტების განსაზღვრას, მათი მონიტორინგის დაწესებას, საინფორმაციო სისტემების, რისკების კონტროლისა და შიდა კონტროლის სისტემების დანერგვას.

რისკების მართვა სარგებლობას მოუტანს როგორც საბანკო სისტემას, ისე საბანკო ზედამხედველობის განმახორციელებელ პირებს. რისკების ეფექტიანად მართვით ბანკის მენეჯმენტს შეუძლია გააუმჯობესოს აქტივების ღირებულება, მიიღოს ინფორმაცია მომავალში ბანკის შესაძლო ზარალის შესახებ, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საფუძველზე გააუმჯობესოს სისტემური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები და პროცესები, გამოიყენოს როგორც ბანკის მუშაობის შეფასების უფრო ზუსტი ბაზა, ისე შეაფასოს ბანკის შედარებით კომპლექსური ინსტრუმენტებისა თუ ბიზნესსაქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკები და შექმნას რისკების მართვის

ისეთი ჯანსაღი ინფრასტრუქტურა, რომელიც ბანკის კონკურენტუნარიანობას გააძლიერებს.

საბანკო ზედამხედველობის თვალსაზრისით რისკების მართვის გამოყენება დააჩქარებს ბანკის შესაძლო ზარალის შეფასებას, რომელმაც შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს ბანკის კაპიტალზე და შექმნის ბანკების ზედამხედველობის სტრატეგიის ერთიან საფუძველს.

რისკების მართვის გამოყენების ძირითადი არსი არის მისი პროცედურებისა და მეთოდოლოგიის ადეკვატურობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბანკების მუშაობის მართვა მისაღები ლიმიტების ფარგლებში, რაც მომგებიანი იქნება ბანკებისათვის. ამასთან, ბაზრის სხვადასხვა პირობებისა და სტრუქტურის, ბანკების ოპერაციების მოცულობის, კომპლექსურობისა და ნებისმიერი ბანკისათვის რისკების მართვის ერთიანი უნივერსალური მექანიზმის არარსებობის გათვალისწინებით, აუცილებელია თითოეულმა ბანკმა შექმნას რისკების მართვის სტრუქტურა და მისთვის დამახასიათებელი რისკების მართვის სისტემა.

საბანკო საქმიანობის არსიდან გამომდინარე, როგორც მოსალოდნელი, ისე მოულოდნელი რისკი არის პოტენციური მოვლენა, რომელმაც შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს ბანკის მოგებასა და კაპიტალზე. იმისათვის, რომ განხორციელდეს რისკის მართვის პროცესი, ბანკმა, უპირველეს ყოვლისა, ზუსტად უნდა განსაზღვროს რისკები, აღიაროს და გაერკვეს მისთვის დამახასიათებელ ყველა რისკში, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს მის მიერ რაიმე ახალი საქმის განხორციელებისას, მათ შორის ნებისმიერი რისკი, რომელიც მასთან დაკავშირებულ თუ სხვა მონათესავე საწარმოებს ახასიათებთ.

რისკების ზუსტად განსაზღვრის შემდეგ ბანკმა თანამიმდევრობით უნდა განახორციელოს მათი შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი. რისკების შეფასების მიზანი ის არის, რომ ბანკმა შეძლოს მისი ბიზნესსაქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკების გაანგარიშება, რათა განისაზღვროს რისკების გავლენა ბანკის კაპიტალზე, რომელიც ამ ბიზნესსაქმიანობის ხელშესაწყობად უნდა იქნეს შენარჩუნებული. ამის პარალელურად ბანკის მიერ რისკების მონიტორინგის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს

ბანკის მიერ რისკების შეფასება, განსაკუთრებით ნებისმიერი ისეთი რისკის, რომელიც მნიშვნელოვანია და/ან შეუძლია გავლენა იქონიოს ბანკის კაპიტალზე.

მონიტორინგის შედეგები, მათ შორის, რისკების დროული, ზუსტი და ინფორმაციული შეფასება გამოყენებულ უნდა იქნეს ბანკში გადაწყვეტილებების მიმღები პირების მიერ და ნებისმიერ სხვა საჭირო შემთხვევაში. გარდა ამისა, ამ შედეგების საფუძველზე ბანკმა უნდა განახორციელოს ღონისძიებები რისკების შესამცირებლად, მათ შორის კაპიტალის გაზრდით, ჰეჯირებით და რისკის შესუსტების სხვა მექანიზმებით.

რაც შეეხება საკრედიტო ინსტიტუტებისა და რომელიმე კონკრეტული ბანკის SWOT -ანალიზს, როგორც ვიცით აღნიშნული ინსტიტუტების ძლიერი მხარეს წარმოადგენს- ინოვაციური, პერსპექტიული, ბანკის ცნობადობის გაზრდაზე ორიენტირებულობა, სუსტი მხარეს კი რისკის ფაქტორი, ესეთი პროექტების განსახორციელებლად არის შედარებით მაღალი. ამიტომ საჭიროებს ის დიდ პროფესიონალიზმს რათა მოხდეს სწორი იდეის არჩევა და დაფინანსება. შესაძლებლობა- შეიძლება მომავალში გაკეთდეს სატელევიზიო შოუც რაც ძალიან გაზრდის ბანკის პოპულარობას და ბანკის წარმოჩენას სხვა კუთხით, ხოლო რაც შეეხება საშიშროებას- შეიძლება მოხდეს მსგავსი სახის იდეის სხვა ორგანიზაციის მიერ განხორციელება. ასევე შეიძლება მოხდეს ბანკის მიმართ ნდობის დაკარგვა თუ ვერ მოხდება საავტორო უფლებების დაცვა.

თავი III. საფინანსო სექტორის წარმომადგენელთა მართვის აქტუალური საკითხები კოვიდ-19-ის გამოწვევების ფონზე

3.1. კოვიდ-19-ის ზეგავლენა ბიზნეს-სექტორზე, სესხების რესტრუქტურირაცია

COVID-19 -ის შემდგომი აღდგენითი პერიოდის როლი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რომლებიც მუშაობენ ენერგოეფექტური პროდუქტებისა და განახლებადი ენერჯის მოწყობილობების მიწოდების სფეროში, შესაძლოა გახდეს გადამწყვეტი თუკი მათ მიეცემათ საჭირო სტიმული. შესაძლოა ხდება მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების ხელახალი გაშვება ან საერთოდ ახალის შექმნა, დასაქმებულთა შორის შიშის ფონზე. მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებს აქვთ შესაძლებლობა იხელმძღვანელონ მკვეთრად გამოკვეთილი ფინანსური პრინციპებით, ხელმისაწვდომი ბაზრით და მოწინავე ტექნოლოგიებით კეთილშობლიურ გარემოში, რომელიც შეიქმნა ეფექტური სამთავრობო სტრატეგიების და პოლიტიკის შედეგად. მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ ღონისძიებების წარმატებით განხორციელების ფაქტიური მაგალითებით ენერგოეფექტურობის ზრდისა და განახლებადი ენერჯის წყაროების კუთხით, მათ შორის აღდგენით, რომლის განაც შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღება. პროექტის ”გლობალური ინიციატივა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესსექტორის აღორძინების COVID-19 -ის შემდეგ მიმართებაში“ პირველ ეტაპზე UNECE -ის მიერ მოხდა პრინციპები და მოწინავე გამოცდილების შემუშავება მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ენერგოეფექტური პროდუქტებისა და განახლებადი ენერჯის მოწყობილობების მიწოდების სფეროში.

საქართველო არის ერთ-ერთი საპილოტე ქვეყანა ისეთიმ ახასიათებლებით, რომლებიც ითვალისწინებენ ქვეყნის სპეციფიკურ პირობებს. აღნიშნული კვლევა მოიცავს საქართველოში არსებული გარემოს ანალიზს, რომელსაც მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი აწყდება COVID -19 კრიზისის შედეგად ენერგოეფექტურობისა (EE) და განახლებადი ენერჯის (RE) სფეროში საქართველოში განხორციელებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გათვალისწინებით. აღნიშნული ცხადყოფს, თუ

როგორ შეუძლია რეაგირება მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს მიმდინარე ამოწვევაზე; ასევე კვლევაში მოცემულია: ის ზომები, რომლის გატარებაც შეუძლია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს სენერგოეფექტური პროდუქტებისა და განახლებადი ენერჯის მოწყობილობების მიწოდებისკუთხით, რაც მათ ბიზნესის ნდობის აღდგენაში დაეხმარება;

საქართველოში COVID-19-ით გამოწვეულმა ჯანმრთელობის მძიმე კრიზისმა აიძულა მთავრობა გაეტარებინა ისეთი მკაცრი ზომები, როგორცაა აქვეყნის ჩაკეტვა, კარანტინი და მობილობის შეზღუდვა, რამაც გავლენა მოახდინა ბიზნესგარემოზე. მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის უმეტესობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პანდემიამ და მათ დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ოპერაციების შესანარჩუნებლად. სასწრაფო ზომების მიღება იყო საჭირო, რადგან კომპანიები არ იყვნენ მზად და თავს არ იყვნენ დარწმუნებულნი თუ რამდენადე ფექტიან რეაგირებას მოახდენდნენ ვირუსის წინააღმდეგ მასზე წინასწარი ცოდნისა და გაურკვეველი პროგნოზირების არარსებობისგამო.

მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესმა კრიზისს უპასუხა წარმოების შემცირებით, სახლიდან დისტანციურად მუშაობითა და ოპერაციების შეწყვეტით. COVID-19-ის გავრცელების შემდეგ, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის უმრავლესობა (68%) დადგა მომსახურების შემცირებული მოთხოვნილების წინაშე და მოუხდათ ოპერაციების შეწყვეტა, რის შედეგადაც შემცირდა ენერგომომხმარება. ამგვარმა შემცირებამ გავლენა მოახდინა, ერთი მხრივ, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მოთხოვნაზე განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურ პროდუქტებსა და მომსახურების მიმართ და მეორე მხრივ, გამოიწვია საზოგადოების ინტერესის შემცირება განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურ პროდუქტებში ინვესტიციაზე, რასაც ასევე ხელი შეუწყო სახელმწიფოს მიერ ენერგორესურსების გადასახადის სუბსიდირებამაც.

მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ პანდემიასთან ბრძოლის საშუალებათა არარსებობის გამო, მთავრობამ შემოიღო ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა მოქალაქეთა სოციალური სტატუსის გაუმჯობესებას და ბიზნეს სექტორისთვის გარკვეული ზომების მიღებას, რაც ხელს შეუწყობდა ბიზნესს

ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში და დაეხმარებოდა მის აღდგენას პანდემიის პერიოდში. ეს ღონისძიებები მოიცავს საშემოსავლო და ქონების გადასახადისგან გათავისუფლებას, დღგ-ს დაბრუნებას, გაზრდილ თანადაფინანსებას სესხის პროცენტისთვის, დამატებითი ფინანსური რესურსების გამოყოფას, როგორცაა საკრედიტო საგარანტიო სქემის დანერგვა, ბიზნესისთვის არსებული მიკრო და მცირე გრანტების პროგრამის გაფართოება.

როგორც მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს შორის კვლევამ აჩვენა, ასეთი დახმარება დროული იყო, რადგან ბიზნესის მხოლოდ 28%-მა არ მიმართა სახელმწიფოს ფინანსური დახმარების მისაღებად, ხოლო დარჩენილმა 72% -მა განაცხადი შეიტანა. გამოკითხული მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ ყველაზე ფართოდ გამოყენებული ინიციატივა იყო თანამშრომლების ხელფასებისა და პირადი საშემოსავლო გადასახადის სუბსიდირება. ეს ორი ინიციატივა აითვისა გამოკითხული კომპანიების 44% -მა.

რაც შეეხება სესხების რესტრუქტურირებას სესხის დაგვიანებით გადახდა, პრობლემა კრედიტორებთან ურთიერთობისას - მსგავს სიტუაციაში ბევრი ჩვენგანი ყოფილა. გაუთვალისწინებელი ფინანსური პრობლემების დროს ვალდებულებებთან გამკლავება რთულია. დაგვიანებული გადახდები კი უარყოფითად აისახება საკრედიტო ისტორიაზე. როგორ უნდა მოვიქცეთ თუ სესხის თანხის გადახდას ვეღარ ვახერხებთ? როგორ უნდა მოვაგვაროთ პრობლემა?

თუ ბევრი ვალდებულება გაქვთ და ვერ უმკლავდებით ვალეზს, დაუკავშირდით საკრედიტო კომპანიას, რათა თავი დააღწიოთ პრობლემურ სიტუაციას. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში თქვენ ჯარიმა და საკომისიოები დაგერიცხებათ, რაც კიდევ უფრო გაზრდის გადასახადი თანხის ოდენობას. ნუ დაემალებით კრედიტორს - ეს პრობლემას ვერ გადაჭრის. საკრედიტო კომპანიამ კი შეიძლება, რომ შემოგთავაზოთ სესხის რესტრუქტურირება - ყველა სესხის გაერთიანება და მისი მეტ დროში გადახდის შესაძლებლობა.

სესხების რესტრუქტურირება საშუალებას გაძლევთ თქვენი ვალდებულებები უფრო მეტ დროში დაფაროთ. რამდენიმე კრედიტის გადახდის ნაცვლად, იხდით

მხოლოდ ერთი სესხის თანხას. მცირდება გადასახადი თანხის ოდენობა, არ გიწევთ იმაზე ფიქრი თუ რომელ რიცხვში გაქვთ გადასახადი კონკრეტული სესხი. შესაბამისად, არ აგვიანებთ გადახდებს. ამ ყველაფერთან ერთად ინარჩუნებთ მაღალ საკრედიტო რეიტინგს. რესტრუქტურისაციის დროს მნიშვნელოვანია დააზუსტოთ პირობები, რადგან ზოგჯერ კრედიტის საპროცენტო განაკვეთი იზრდება. ასევე, ვადის გახანგრძლივებისას მეტი თანხის გადახდა გიწევთ. ამ მომსახურებას ძირითადად მაშინ მიმართავენ, როდესაც რთული ხდება ვალდებულებების შესრულება და მომხმარებელს გააზრებული აქვს, რომ შესაძლოა დასაბრუნებელი თანხის ოდენობა გაეზარდოს.

იმისათვის, რომ ისარგებლოთ სესხის რეფინანსირებით, თქვენ უნდა იყოთ საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქე, გქონდეთ დადებითი საკრედიტო ისტორია და სტაბილური შემოსავალი. არის შემთხვევები, როდესაც კრედიტორები ნეგატიური საკრედიტო ისტორიის შემთხვევაშიც აძლევენ საშუალებას მომხმარებელს ისარგებლოს სესხის რეფინანსირებით. ბოლო პერიოდში აქტიურად იზრდება ისეთი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც მომხმარებელს სთავაზობენ საფინანსო პროდუქტების მრავალფეროვან არჩევანს, სესხის აღებას როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი მიზნებისთვის. ქართულ საფინანსო სექტორში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს სწრაფი მიკრო სესხების ისეთი კატეგორია, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია არა მხოლოდ მოკლევადიანი მიზნების დასაკმაყოფილებლად და პრობლემის მოსაგვარებლად, არამედ შედარებით გრძელვადიანი მიზნებისთვისაც.

მატერიალური მდგომარეობა ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს. თუკი მომხმარებელს სესხის აღების დროს ჰქონდა ვალდებულების დაფარვის რესურსი, შესაძლოა დროთა განმავლობაში შემოსავლის ოდენობამ იკლოს ან კლიენტს იმაზე მეტი სესხი გქონდეს აღებული, ვიდრე მისი გადახდა შეუძლია. ამის შედეგი ვადაგადაცილებული სესხებია. თუ კრედიტის აღებას პასუხისმგებლობით მივუდგებით, შევძლებთ თანხის დაფარვას და მაღალი საკრედიტო რეიტინგის შექმნას. ეს კი დადებითად აისახება სხვა საკრედიტო კომპანიებთან თანამშრომლობისას.


3.2 კვლევის მეთოდოლოგია და შედეგების განაალიზება

საბანკო მომსახურების როლის განსაზღვრისთვის საზოგადოებისთვის და covid-19 დროს დაწესებული შეღავათების გამოყენებასთან დაკავშირებით ჩატარეთ კვლევა, კვლევის მიზანს წარმოადგენდა საზოგადოების იმ ნაწილის გამოკითხვა რომელსაც აქვს ან არ აქვს სესხი ბანკში, მაგრამ მაინც სარგებლობს საბანკო მომსახურებით. გამოყენებული იქნა ანკეტური გამოკითხვის მეთოდი. გამოკითხა სულ 106 რესპოდენდენტი (მათ შორის 57,5% - მდედრობითი სქესის და 42,5% მამრობითი სქესის, ყველა ასაკობრივ კატეგორიაში - 15 წლიდან ზემოთ).

კვლევის შედეგების მიხედვით გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა სარგებლობს საბანკო ინსტიტუტებით (50% - სარგებლობს სისტემატურად, 41,5 % - სარგებლობს ნაწილობრივ, 6,6% - არ სარგებლობს საბანკო ინსტიტუტებით, ხოლო 1,9% თავს არიდებს ამ ინსტიტუტებთან ურთიერთობას)

დიაგრამა №4

1) სარგებლობთ თუ არა საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტის მომსახურებით
106 პასუხი



წყარო: დიაგრამა ავტორისეულია, შედგენილია ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით


გამოკითხულთა უმრავლესობა (99%) თანამშრომლობს საქართველოს ბანკთან და თიბისი ბანკთან (ცალცალკე, ან ორივესთან ერთად) ხოლო გამოკითხულთა უმცირესობა თანამშრომლობს სხვა პატარა ბანკებთან. არსებული მაჩვენებლებით შეიძლება ითქვას, რომ ბაზარზე „თამაშის წესებს“ საქართველოს ბანკი თა თიბისი ბანკი აწესებენ. ამ შემთხვევაში მომხმარებლების უფლებების დასაცავად და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს უზრუნველსაყოფად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა გაატაროს

შესაბამისი ღონისძიებები, რადგან მთავარმა მოთამაშე ბანკებმა მათი კონკურენტული უპირატესობა და ფინანსური სიძლიერე არ გამოიყენონ მათ სასარგებლოდ. აგრეთვე მოსახლეობის უმრავლესობის ფინანსური რესურსების მხოლოდ ორ ბანკზე გადანაწილება (საქართველოს ბანკი და თიბისი ბანკი) უქმნის ძალიან დიდ საფრთხეს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანიგაკოტრედებაან შეექმნება ფინანსური სიძნელეები.

დიაგრამა №5

2) რომელ საფინანსო-საბანკო ინსტიტუტთან თანამშრომლობთ?

106 პასუხი




წყარო: დიაგრამა ავტორისეულია, შედგენილია ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით

გამოკითხულთა 75,5% პროცენტი საბანკო მომსახურებებიდან სარგებლობს სახელფასო ბარათით და სესხით, ხოლო 25,5%-ს აქვს ანაბარი და საკრედიტო ბარათი.

დიაგრამა №6

3) რა ტიპის საბანკო მომსახურებით სარგებლობთ

106 პასუხი




წყარო: დიაგრამა ავტორისეულია, შედგენილია ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით

გამოკითხულთა 61,3 % სარგებლობს სამომხმარებლო სესხით, 29,2% - იპოთეკური სესხით 4,7% - ბიზნეს სესხით, - ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხით, 5,7% 2,8%- აგრო სესხით, 10,4% - სწრაფი სესხით ხოლო მხოლოდ 3,77 % არ სარგებლობს სესხით. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ უკეთესი იქნება გაიზარდოს ბიზნეს სესხით და აგრო სესხით მოსარგებლე მსესხებელთა რაოდენობა, ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

დიაგრამა №7

4) რა ტიპის სესხით სარგებლობთ?

106 პასუხი




წყარო: დიაგრამა ავტორისეულია, შედგენილია ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით

დიაგრამა №8

5) რამდენად გადახდისუნარიანი იყავით „covid -19“- მდე

106 პასუხი




წყარო: დიაგრამა ავტორისეულია, შედგენილია ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით

Covid -19-მდე მოსახლეობის 85,8% სესხს იხდიდა უპრებლომოდ, 2,8 % იხდიდა ყოველთვიურად ვადაგადაცილებით, 7,5% იხდიდა ზოგჯერ ვადაგადაცილებით, ხოლო 3,8 % სესხის გადასახადს ვერ იხდიდა. სესხით მოსარგებლეთა 48,1%-მა ისარგებლა სესხის გადავადებით, 47,2%-მა არ ისარგებლა ხოლო 4,7%-მა ისარგებლა მხოლოდ ერთი თვით.

დიაგრამა №9

6) ისარგებლეთ თუ არა covid-პანდემიის დროს ბანკებში არსებული შეღავათებით (სესხის გადახდის გადავადებით)

106 პასუხი




წყარო: დიაგრამა ავტორისეულია, შედგენილია ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით

გამოკითხულთა მხოლოდ 11,3 %-ია კმაყოფილი სესხის გადავადების ბანკების მიერ შემოთავაზებული პირობებით, 39,6% არ არის კმაყოფილი, 19,8% - ნაწილობრივ კმაყოფილია, ხოლო 29,2 %-ს არ უსარგებლია სესხის გადავადებით საერთოდ.

დიაგრამა №10

7) ხართ თუ არა კმაყოფილი გადავადების დროს მოწოდებული პირობებით?

106 პასუხი




წყარო: დიაგრამა ავტორისეულია, შედგენილია ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით

მიმდინარე პერიოდში გამოკითხულთა 72,6% სესხს იხდის უპრობლემოდ (რაც პანდემიამდე მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 13,2%-ით), ეს მაჩვენებელი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პანდემიამ მოსახლეობის ნაწილს შეუქმნა ფინანსური პრობლემები და გააუარესა მათი ცხოვრების ხარისხი. სესხს ვერ იხდის გამოკითხულთა 1,9 % (პანდემიამდე ეს მაჩვენებელი 2-ჯერ მეტი იყო და ამ ეტაპზე ამ მიმართულებით დადებითი ტენდენციაა), გამოკითხულთა 7,5 %-ს სესხის გადასახდელად მოუწია სხვა აქტივის რეალიზაცია, 0,9% ჯერჯერობით სესხს იხდის დროულად მაგრამ მომავლის პროგნოზს ვერ აკეთებს.

დიაგრამა №11

8) როგორ იხდით საბანკო სესხებს მიმდინარე პერიოდში?
106 პასუხი




წყარო: დიაგრამა ავტორისეულია, შედგენილია ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით

გამოკითხულთა 20,8%-თვის მათი სხვადასხვა ბანკებში არსებული ვალდებულებები აღემატება მათ შემოსავლებს (ეს მიუთითებს დაკრედიტების პროცესში არსებულ ხარვეზებზე, კერძოდ მსესხებლის შემოსავლების და გადახდისუნარიანობის არასათანადოდ შეფასებაზე), 55,7 %-ისთვის ვალდებულებები ნაკლებია შემოსავლებზე, ხოლო გამოკითხულთა 17% ამბობს რომ შემოსავლები ჰყოფნით მხოლოდ სესხების შენატანებში.

გამოკითხულთა 20,8% ფიქრობს რომ ბანკების სესხებს გაცემენ მზინობრივად შემდგომი კონტროლით, 12,3% ფიქრობს, რომ სესხი გაიცემა მიზნობრივად შემდგომში კონტროლის გარეშე, 6,6% ფიქრობს, რომ სესხები მიზნობრივად არ გაიცემა, 29,2% ფიქრობს, რომ გაცემული სესხები ნაწილობრივ მიზნობრივია, ხოლო 22,6% ფიქრობს, რომ მიზნობრიობა ნაკლებია, მაგრამ მკაცრია შემდგომში კონტროლი.


9) თქვენი შემოსავლებიდან გამომდინარე სხვადასხვა ბანკებში ვალდებულება თქვენს შემოსავალზე...
106 პასუხი



წყარო: დიაგრამა ავტორისეულია, შედგენილია ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით

10 ბალანსი სისტემიდან საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების თანამედროვე პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სისტემას გამოკითხულთა მხოლოდ 7,5% აფასებს უმაღლესი ქულით, 35% აფასებს საშუალოდ ხოლო დანარჩენი საშუალოზე დაბალი შეფასებით. ეს მაჩვენებლები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში დაბალია საბანკო ინსტიტუტების მიმართ ნდობის ხარისხი.

10) როგორ ფიქრობთ ბანკები სესხებს გაცემენ თუ არა მიზნობრივად და ხდება თუ არა ამის კონტროლი?
106 პასუხი



წყარო: დიაგრამა ავტორისეულია, შედგენილია ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით

გამოკითხულთა 46,1% ფიქრობს, რომ პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სისტემამ საზოგადოების ჭარბვალიანობა გაზარდა, 23,5% ფიქრობს, რომ შეამცირა, ხოლო 23,5% ფიქრობს რომ გავლენა ვერ მოახდინა.

“თუ შეგიძლიათ მოკლედ აგვიღწეროთ თუ რა შენიშვნებს და რეკომენდაციებს მისცემდით საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებს” კითხვაზე პასუხად გამოკითხულთა უმრავლესობამ დაასახელა დაბალი საპროცენტო განაკვეთის არსებობა სესხებზე, ასევე რესპოდენტებმა გასცეს შემდეგი რეკომენდაციები:

- კონკურენციისპირობებშიმეტიშელავათებისდაწესებაკარგისაბანკოისტორიისგადამხდელებს;
- სესხის გაცემის დროს მეტი ყურადღება დაეთმოს სესხის მიზნობრიობას და შემდგომში მასზე კონტროლს;
- გასაგებ ენაზე და ლაკონურად ჩამოყალიბდეს სესხის პირობები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია;
- დაეხმარონ ქვეყანას გონივრული დაკრედიტების პროცესებით, რომელიც შექმნის ეკონომიკურ დოვლათს;
- სესხი გაიცეს მსესხებლის შემოსავლების ანალიზის საფუძველზე, ასევე გადახდის გრაფიკი უნდა იყოს მსესხებლის უკვე არსებული და პოტენციური შემოსავლის გათვალისწინებით. ეტაპობრივად უნდა გაკონტროლოდეს რამდენად მოახერხა მსესხებელმა სესხის მიზნობრივად გამოყენება, ასევე ეტაპობრივად უნდა გაკონტროლდეს გადახდის გრაფიკი, და საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ მასში ცვლილებები;
- ბანკმა არ უნდა შეუცვალოს პირობები კლიენტის დასტურის გარეშე;
- ბანკებში ხელფასის ბონუსური სისტემის გამოკრედიტ-ოფიცრები არასწორად აფასებენ კლინტთა გადახდისუნარიანობას;
- საბანკო ინსტიტუტებმა დააფინანსოს დამწყები ბიზნესი და სტარტაპები;
- შეცვალონ ყოველთვიური გადასახადის სისტემა სადაც პირველ წლებში მეტი წილი პროცენტს მიაქვს და მცირე რაოდენობით ძირი თანხა კლებულობს.
- სასურველია გაუქმდეს დამტკიცების და გატანის საკომისიოები. დარჩეს მხოლოდ წინსწრების პირგასამტეხლო.ყველა სესხზესავალდებულო უნდა იყოს სიცოცხლის დაზღვევა.

➤ იყვნენ მეტად კომპეტენტურები, შეეძლოთ კლიენტზე ლამაზად და ამომწურავად, გასაგებ ენაზე ახსნა იმ ყველაფრის რაც სესხის აღებას, პროცენტს და სხვა დაკავშირებულ საკითხებს შეეხება, და არა შაბლონურად გაზეპირებული ტექსტი, რომელსაც კლიენტების 80 %, ვერ ხვდება.

➤ მაღალი საკრედიტო განაკვეთი, დოლარის შემთხვევაში იზრდება ყოველთვიური შეატანი ლარის შემთხვევაში ბანკი ზრდის საპროცენტი განაკვეთს და ისევ პრობლემდება უნდა იყოს რეალური პრიცენტი განსაკუთრებით ხანგრძლივ სესხზე

➤ შეამცირონ ოფისების ხარჯები, გადავიდნენ ონლაინ მომსახურებაზე, ეს მისცემს შესაძლებლობასქ „შემცირდეს გადასახდელი პროცენტები

➤ გაიზარდოს ბიზნეს სესხების დაკრედიტების მოცულობა

დასკვნები და რეკომენდაციები

ზემოთ აღნიშნული საკითხებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საბანკო სექტორს ქვეყნის ეკონომიკურ და საზოგადოების სოციალურ მდგომარეობაზე დადებითად მოქმედებს, რითაც იქმნება ფინანსური დოვლათი ქვეყანაში და თავისი მზარდი განვითარების ტენდენციებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია სახელმწიფოს, კერძო სექტორის, ბიზნესის და ზოგადად საზოგადოების რეალიზებისათვის. საბანკო სექტორს უფრო სწრაფად შეუძლია ფინანსური სახსრების მობილიზება ვიდრე სხვა ინსტიტუტებს.

ქვეყანაში არსებული საბანკო სექტორის სტრუქტურის და მომსახურების სრულყოფა ხელს უწყობს თავისი ეკონომიკური როლის ამაღლებას, ამიტომ აუცილებელი საკითხია საბანკო სექტორის განვითარება და სამომავლო პერსპექტივების დაგეგმარება. პირველ რიგში საბანკო მომსახურების მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, საშუაშუალო და მაღალ ფუნქციების ხარისხიანად შესრულებას და ბიზნესის ამ სფეროში კონკურენციის, მიწოდებული მომსახურების უნივერსალურ დონეზე განვითარებას. 45 საკრედიტო ორგანიზაციების სპეციალიზება ცალკეული საბანკო პროდუქტების, ოპერაციების თუ საქმიანობის სახეობების მიხედვით უნდა ეფუძნებოდეს ნებაყოფლობით პრინციპს, რომელიც გამორიცხავს ადმინისტრაციული მეთოდების თავსმოხვევას სპეციალიზების კონკრეტული ფორმების ბანკებისათვის. ამავე დროს, აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ საქმიანი აქტივობის სფეროების შერჩევასა და დაწყვეტილების მიღების მთელი პასუხისმგებლობა თვით კომერციულ ბანკებს ეკისრებათ. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი არ გამორიცხავს საბანკო საქმიანობის ცალკეულ სახეობებსა ან საბანკო პროდუქტებზე სპეციალიზებული ბანკების მიმართ რეგულირებისა და ზედამხედველობის განსხვავებული მიდგომების გამოყენებას.

საქართველოს მაშტაბით რეგისტრირებულია ათეულობით საკრედიტო ინსტიტუტი, რომლებიც გამუდმებით კონკურენციის პირობებში ცდილობენ ბაზარზე დაიმკვიდრონ ადგილი, მაგრამ ეს ყველაფერი რეგულაციებისა და სოციალური პასუხისმგებლობიდან უნდა იყოს გამოწვეული. შეიძლება ითქვას, რომ საბანკო სისტემა

დღესდღეობით განვითარების მაქსიმუმ წერტილში იმყოფება, მაგრამ სწორად შერჩეული მომავალი დაგეგმარებით შეიძლება ითქვას, რომ ბანკებს ეძლევათ ახალი შესაძლებლობები და პერსპექტივები, რომლითაც კიდევ უფრო დაიხვეწება მათი ფუნქციონირება და უფრო მეტად მომგებიანობი გახდებიან.

საკრედიტო ინსტიტუტების განვითარება და სამომავლო პერსპექტივები რათქმაუნდა დამოკიდებულია მოსახლეობის ზრდაზე, რაც იზრდება მოსახლეობა ქვეყნის მაშტაბით მით უფრო ჩნდება მოთხოვნა საკრედიტო ინსტიტუტების გამრავლებისა. ამავდროულად გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ რაც მეტი საკრედიტო ინსტიტუტი იარსებებს, მაგრამ კანონიერად ფუნქციონირებადი, მით უფრო მრავალმხრივ დახვეწილ მომსახურებას მივიღებთ პოტენციური კლიენტურა და გვექნება მომსახურების არჩევის საშუალება თუ რომელ ბანკს მივმართოთ. ასე რომ საკრედიტო ინსტიტუტების განვითარების მოლოდინიც და პერსპექტივებიც გათვლილი უნდა იყოს მოსახლეობაზე.

საბანკო-საკრედიტო ინსტიტუტებისთვის დადგა დრო, როცა ისინი განვითარების ახალ ეტაპზე უნდა გადავიდნენ, ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების დაწესება გამოიწვევს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპების ჩამოყალიბებას, ამით ნაწილობრივ შემცირდება მოსახლეობის ჭარბვალაიანობა, მაგრამ თვით დამფინანსებელი ორგანიზაციებისთვის ყოველივე ეს იქნება ნაწილობრივ ზარალის მომტანი, რადგან შენელებს საცალო დაკრედიტების ტემპი და შესაბამისად გაიზრდება ხარჯები, შემცირდება მომგებიანობა და გაიზრდება კაპიტალზე მოთხოვნა, თუმცა გმელვადიან პერიოდში საფინასო სექტორის ხარისხობრივ გაუმჯობესებამდე მივალთ.

საბანკო ზედამხედველობა და მისგან დაწესებული რეგულაციების რეგულირება ძალიან კომპლექსური და რთული სისტემაა, რომელიც მოითხოვს განიწყვეტილ თვალყურის დევნას, გადამოწმებას და შესაბამისად ცვლილებების შეტანას. გასათვალისწინებელია ასევე თითოეული ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა. იმისათვის, რომ ქვეყნის ეკონომიკას პრობლემა არ შეექმას, გამომდინარე იქედან, რომ ბანკები წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების

ერთ–ერთ ინსტრუმენტს, საჭიროა ბანკების ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის, კეთილსინდისიერების, სამართლიანობის და კანონთან შესაბამისობის მუდმივი კონტროლი და რისკების მონიტორინგი.

თანამედროვე ეკონომიკაში კომერციული ბანკი ყველაზე კარგად ჩამოყალიბებული, მზარდი და ძალიან მნიშვნელოვანი რესურსების მქონე სფეროა. ახალი საბანკო რეგულაციების ათვისებას და რეგულაციის მიხედვით ბიზნესის განხორციელებას გარკვეული დრო ჭირდება და პირველ ეტაპზე შესაძლოა წარმოიშვას გაურკვევლობა რიგ საკითხებში და სირთულეები, თუმცა უნდა მოხდეს ყველა არსებული სტრუქტურის ჩართვა და ერთსულოვნად მუშაობა იმისათვის, რომ ეს დაძაბული ეტაპი რაც შეიძლება მარტივი და ყველა მიმართულებით უმტკივნეულო იყოს, როგორც ბანკებისთვის და ეკონომიკისთვის, აგრეთვე მოსახლეობისთვის.

საბანკო სექტორი გარდა იმასა, რომ კლიანტურას თავაზობს კომფორტული სამუშაო გარემოს და ოპერატიულ მომსახურებას, ამავდროულად ხელს უწყობს ბიზნეს სექტორის განვითარებაში, იდეების განხორციელებასა და რეალიზაციაში, ან კიდე საჭიროებისამებრ სამომხმარებლო სესხებით დაფინანსებაში, რომლითაც მოსახლეობის დიდი ნაწილი გარკვეულ ცხოვრებისეულ პრობლემებს წყვეტს. ტექნოლოგიური განვითარების ხარჯზე მოსახლეობას აქვს მარტივად ისარგებლოს სხვადასხვა ოპერაციებით სახლიდან გაუსვლელად მობაილ ბანკის მეშვეობით. დღესდღეობით საბანკო სექტორი რა გამოწვევების წინაშეცაა, თავისი ინოვაციური და მომხმარებელზე მორგებული საბანკო პროდუქტებით ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს უმაღლეს დონეზე.

ბევრი კვლევებით დასტურდება, რომ თანამედროვე საბანკო სისტემის კარგად ჩამოყალიბება და განვითარება ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, თავისი მოგების და შემოსავლების ზრდის პროპორციულად. თვალში საცემია ის ფაქტიც, რომ ქართული საკრედიტო სისტემა ინოვაციებისა და სიახლეების ათვისების მხრივ ერთ–ერთი მოწინავეა მსოფლიოს მამტაბით, რომელიც გამართულად მუშაობის პროცესში გამოიხატება.

ამრიგად, საბანკო სექტორს, როგორც კარგად ჩამოყალიბებულ ბიზნესს, რომელიც ორიენტირებულია მოგების მაქსიმალიზაციისაკენ, მოსახლეობას თავზობს საჭიროებაზე მორგებულ საბანკო პროდუქტებს, მაგრამ ყოველივე ეს კონტროლდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. გარდა მოგებაზე ორიენტირებულობისა, საბანკო სისტემის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ვალდებულებაა სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც უფრო მეტად გასაკონტროლებელია, ვიდრე სარეალიზაციო პროდუქტების ხარისხების კონტროლი. აქედან გამომდინარე, რომ შენარჩუნდეს ან გაუმჯობესდეს მოსახლეობის სოციალური დონე და არ გვექონდეს საქმე ჭარბვალდებულებასთან, ამისათვის საჭიროა ეროვნული ბანკის რეგულაციების გამკაცრება და საპროცენტო განაკვეთების იმ მინიმალურ დონეზე დაყვანა რომლითაც ბანკებსაც დარჩება მოგება და მოსახლეობაც იქნება ყოველივე ამით კმაყოფილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიძე რ. საბანკო მენეჯმენტი, თბილისი, 2009;
2. გელაშვილი, რისკების მართვა კომერციულ ბანკებში. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა N 2, 2017;
3. ეკონომიკა და საბანკო საქმე ტომი 5 2017;
4. ეკონომიკა და საბანკო საქმე ტომი1;
5. იზოლდა ჭილაძე- საქართველოს და კომერციული ბანკების ეკონომიკური შედარება2017;
6. კაკულია რ. „საბანკო საქმე „ თბ. 2010;
7. კაკულია რ. „ეკონომიკური დ ფინანსური რისკების მართვა“ თბ. 2012;
8. კოვზანაძე, გოგი კონტრიძე -თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ. სეზანი, 2014;
9. მაგდაქველიძე დ., ფინანსური რისკები და მათი მართვის მეთოდები თბ., 2012;
10. მოსიაშვილი ვ. „საბანკო საქმის საფუძვლები“ თბ. 2010;
11. ქოქიაური ლ, „საბანკო საქმიანობის საფუძვლები;
12. შონია. სავალუტო რისკების მართვის ზოგიერთი ასპექტები საქართველოში ჟ. ბიზნესი და კანონმდებლობა N1, 2013 ;
13. ჭელიძე მ., მარინე თოფჩიშვილი, ფინანსური ტექნოლოგიების როლი საბანკო სექტორის განვითარებაში. საერთაშორისო სამეცნიეროპრაქტიკული ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი. N5 / 2018;
14. ჯღანჯღავა ქ. ელექტრონული კომერცია: არსი, მნიშვნელობა და მასზე ზემოქმედი ფაქტორები. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, N1;

გამოყენებული ელექტრონული დოკუმენტები:

15. ეკონომიკა და საბანკო საქმე ტომი I, მოძიებულია 20 მაისი, 2020<http://dspace.nplg.gov.ge/browse?type=author&value=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1+%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95> 53

E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98+%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%98 ;

16. ეკონომიკა და საბანკო საქმე, ტომი II <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/247410> ;
17. იპოთეკის ცნებაში განხორციელებული ცვლილებები, 18 სექტემბერი 2020, მოძიებულია 26 მაისი, 2020, <https://forbes.ge/blog/613/ipoTekis-cnebaSiganaxorcielebuli-sakanonmdeblo-cvlilebebi%2C-anu-sakuTrebis-mesakuTrisgan-dacvismcdeloba>;
18. საქართველოს საბანკო სექტორის ძირითადი პარამეტრები, მოძიებულია 2 ივნისი, 2020, <https://forbes.ge/news/6780/saqarTvelos-sabanko-seqtorisZiriTadi-parametre>;
19. წარმატებული საბანკო სექტორი, ვახტანგ ჭარაია, მოძიებულია 10 ივნისი, 2020, <https://1tv.ge/analytics/warmatebuli-sabanko-seqtori/>;
20. საქართველოს საბანკო სექტორის სტაბილურობა, ბესო ნამჩავაძე, 10 აგვისტო, 2018 მოძიებულია 10 ივნისი, 2020, <https://forbes.ge/news/4531/ramdenadstabiluria-saqarTvelos-sabanko-seqtori> 10 აგვისტო 2018;
21. საქართველოს კანონი დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის შესახებ“ , s://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/2014/riskebis_martva_20_06_14.PDF, მოძიებულია 25 ივნისი 2020;
22. საქართველოს მთავრობის დადგენილება ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, მოძიებულია 10 ივლისი 2020; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/101044?publication=40N400> 2014;
23. საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირებულს განაკვეთი) მოძიებულია 15 ივლისი 2020 <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=555>
24. საქართველოს ეკონომიკისა და კომერციული ბანკების ზრდის შედარება, მოძიებულია 10 აგვისტო 2020, https://www.researchgate.net/publication/324485801_sakartvelos_da_komertsiuli_bankebis_ekonomikuri_zrdis_shedareba


დანართი:

https://docs.google.com/forms/d/1MT370sZ0twLcFiDfOEKlvAVPfxiXtI23aydJ6_394c0/edit

დიაგრამა №14

16) ასაკი

106 პასუხი



დიაგრამა №15

13) პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სისტემამ საზოგადოების ჭარბვალიანობა...


102 პასუხი



დიაგრამა №16

15) მიუთითეთ თქვენი სქესი

106 პასუხი



17) ოქვენი ამჟამინდელი სტატუსი *

106 პასუხი

